# საერთო გაზეთი

№23 (434) • 14 ივნისი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი



## ის, რაც ბერა ივანიშვილმა გააკეთა, სამოქალაქო გმირობაა!

**ჯუმბერ პატიაშვილი:**

## თუ წარსულს მიუკერძოებლად არ შეაფასებ, ვერც აწმყოს ააშენებ და ვერც მომავალს დაგეგმავ



**ნიკუშა შენგელაია:**

## ქართველი ხალხის უმრავლესობა არც პროდასავლელია და არც პრორუსი – პროქართველია!



## საქართველოს პრეზიდენტია, თუ ბოკერიას „პადდელნიკი“?



## რით დამთავრდება მსოფლიოს ახალი პოლიტიკური გადანაწილება – ომით თუ მშვიდობით?!

**დავით ფურცხვანიძე:**

## ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს!

რატომ „აჭიკჭიკდა“ სხვანაირად საფრანგეთის ციხეში მჯდომი არკადი გაიდამაკი და რა პროვოკაცია იგეგმება ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ?



## ოცდახუთი წელია ქართული განათლების სისტემას მაფია მართავს!

აი, ვინ იყვნენ წლების განმავლობაში განათლების მინისტრები! →







## ნეტავ თუ იცის ალექსანდრე ჯეჯელავამ, რა უბედურება ტრიალებს მის თავს და რა მაფიოზები ახვევია გარშემო?

## ვახტანგ ხარჩილავა:
# ათასი ჯურის ალისტრახო-ელისტრახოები ჟურნალისტის სტატუსს მოხერხებულად იყენებენ თავიანთი ბინძური საქმიანობის შესანიღბავად და ხელშეუხებლობის მოსაპოვებლად!



**ჟურნალისტის სტატუსით მოქმედმა ცალკეულმა სუბიექტებმა და ლიბერასტული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გასულ კვირას თავზე შავი ტომრები და პოლიეთილენის პარკები ჩამოიცვეს, რითიც სოლიდარობა გამოუცხადეს ყოფილ აზერბაიჯანელ სპეცრაზმელს, ჟურნალისტად წოდებულ აფგან მუხთარლის, რომელიც ამა წლის 29 მაისს თბილისიდან გაუჩინარდა და აზერბაიჯანელი სამართალდამცავების ხელში აღმოჩნდა. ამ საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით ცნობილ პუბლიცისტსა და პოეტს, „საერთო გაზეთის“ მთავარ რედაქტორს ვახტანგ ხარჩილავას.**

**— ბატონო ვახტანგ, ინტერვიუზე მოსულს თავზე ტომარაწამოცმული რატომ არ დამხვდით?**

— შავი ტომარა ვერსად ვიშოვე. ეტყობა, სულ ნაცჟურნალისტებმა დაიტაცეს (იცინის). ისე კი, სამარცხვინო ამბები ხდება ჩვენს ქვეყანაში და ვინმეს ჰგონია, რომ ამას ჟურნალისტიკა ჰქვია?!

**— თქვენ რა სახელს მოუძებნიდით?**

— ეს არის სამარაცხვინო მასკარადი, რომელიც პირდაპირ მიმართულია ქართული სხელმწიფოს წინააღმდეგ. სხვათა შორის, ძალიან სწორად მოიქცა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი, რომელმაც „რუსთავი-2“-ის მიერ დადგმულ სპექტაკლში მონაწილეობა არ მიიღო და თავზე ტომარაჩამოცმული გაბუნიას გადაცემა დატოვა.

**— შალვა ხუციშვილს ამის გამო ნაცლიბერასტები მწარედ აკრიტიკებენ — კითხვებზე პასუხები არ ჰქონდა და ეთერიდან გაიქცაო!**

— მაგ სიმართლით იარონ მაგ ნაცლიბერასტებმა. კაცი სერიოზულ თემაზე სასაუბროდ მივიდა და თავზე ტომარაწამოცმულები დახვდნენ. ბატონ ხუციშვილს გადაცემა რომ არ დაეტოვებინა, ეს არამარტო მისთვის, არამედ მთლიანად სახელმწიფოსთვის იქნებოდა სირცხვილი!

საერთოდ, დიდი ხანია, ქართულ მედიაში არანორმალური, გამაოგნებელი, შემაძრწუნებელი სიტუაციაა შექმნილი, რაც ქართულ სახელმწიფოებრიობას ანგრევს.

დიახ, მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ძალიან ბევრმა ისეთმა ადამიანმა დაირქვა ჟურნალისტი, რომლებსაც ცხოვრებაში ერთი სტატია არ დაუწერიათ, რეპორტაჟი არ მოუმზადებიათ და გადაცემა არ წაუყვანიათ. საუბედუროდ, ქართული ჟურნალისტიკა შარლატანებისა და აფერისტების თავშესაფარი გახდა. ათასი ჯურის ალისტრახო-ელისტრახოები ჟურნალისტის სტატუსს მოხერხებულად იყენებენ თავიანთი ბინძური საქმიანობის შესაბილბავად და ხელშეუხებლობის მისაპოვებლად. რაც ყველაზე სახიფათოა, ეს „ჟურნალისტთა კასტა“ წარმოადგენს ორგანიზებულ ძალას საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ.

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— აი, თუნდაც, რაც ხდება ამ ვინმე მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით, თვალნათელი მაგალითია იმისა, როგორ იბრძვიან საქართველოს წინააღმდეგ საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც თავი ჟურნალისტებად გამოუცხადებიათ.

დიახ, ამ ვაი-ჟურნალისტებს არანაირი მტკიცებულება არა აქვთ, მაგრამ მაინც თავიანთ სახელმწიფოს ადებენ ხელს — ჩემმა საქართველომ მუხთარლი „მეშოკში“ ჩასვა და აზერბაიჯანს გადასცაო! რაშია საქმე?! ვინ არიან ეს ჟურნალისტიკას მიტმასნილი პროვოკატორები?! აგენტურული ქსელია, ასე ორგანიზებულად რომ სწამებენ ცილს თავიანთ ქვეყანას?! თავიანთ სახელმწიფოს რატომ აბეზღებენ?! რატომ ჰგავს მათი საქმიანობა ჯაშუშურ-დივერსიულ საქმიანობას?!

**— რიტორიკულ კითხვებს სვამთ, ბატონო ვახტანგ!**

— გასულ კვირას „საერთო გაზეთში“ დაიბეჭდა მასალა იმის შესახებ, რომ საქართველოში მოქმედებს იატაკქვეშა ორგანიზაცია, რომელიც ჩვენი მეზობელი და მეგობარი აზერბაიჯანის ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვის.

აბა, წარმოიდგინეთ, როგორი ამბავია — ბაქოში საქართველოს წინაალმ,დეგ მებრძოლი ჯგუფი რომ მოქმედებდეს, ჩვენ არ გაგვიჩნდებოდა პრეტენზიები აზერბაიჯანთან?!

**— უკრაინასთან ძალიან ბევრ ქართველს აქვს პრეტენზია იმის გამო, რომ პოროშენკოს ხელისუფლებამ სააკაშვილი და ნაცები შეიფარა.**

— დიახ, ასე და სრულიად სამართლიანიც არის ჩვენი პრეტენზია! გამობრძანდა ეს ოფიციალური ლოთბაზარა გივი თარგამაძე და განაცხადა — ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილს უჩა მამაცაშვილს აზერბაიჯანელმა ბიზნესპარტნიორებმა სთხოვეს მუხთარლის ბაქოსთვის გადაცემა და მანაც თხოვნა შეუსრულაო. ე. ი. გივიამ მთლად ბიძინა ივანიშვილამდე ვერ გაქაჩა, მაგრამ მაინც იქვე, მის საახლობლოში „მოძებნა“ მუხთარლის „გატაცების“ მთავარი ორგანიზატორი.

ძალიან მაინტერესებს, საგამოძიებო სტრუქტურებმა გივია თარგამაძეს რატომ არ მოჰკიდეს ყურში ხელი და რატომ არ უთხრეს — აბა, რასაც ლაპარაკობ. იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინეო?! უბედურება ის არის, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ, „კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ცილისმწამებლებს სრულ ხელშეუხებლობას უწესებს და უფლებას აძლევს, რაც ენაზე მოადგებათ, ყველაფერი არახუნონ, ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერი სიბინძურე დააბრალონ. დიახ, ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ალისტრახო-ელისტრახოებს კანონი აძლევს უფლებას, პატიოსანი ადამიანებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ იმოქმედონ.

**— ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ გამოდიხართ!**

— პირდაპირ ვაცხდებ — სანამ „სიტყვისა დ გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ სააკაშვილის მიერ მიღებულ კანონს არ შევცვლით, საქართველოში ქვეყნის ნგრევის და საზოგადოების გახლეჩის პროცესი არ შეჩერდება!

დიახ, ყველამ უნდა გააცნობიეროს ერთი რამ — „ცილისწამების თავისუფლებას“ სიტყვის თავისუფლებასთან არანაირი კავშირი არა აქვს!

**— და მაინც, როგორ ფიქრობთ, მუხთარლის დასაცავად შემართული ქართველი ლიბერასტების რეალური მიზანი რა არის?**

— ამ ქართველ ლიბერასტებს ის უბედური მუხთარლი სულ ფეხებზე ჰკიდიათ, მაგრამ მის თავს დატრიალებულ ამბავს თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ. მათი მიზანია, ქართულ სახელმწიფოს ძირი გამოუთხარონ და მსოფლიოს უთხრან, რომ საქართველოში ზის „სისხლისმსმელი ხელისუფლება“, რომელიც ადამიანებს „ტომარაში სვამს და იტაცებს“.

ძალიან გაოცებული ვარ და კითხვას ვსვამ — როგორ მოხდა, რომ სააკაშვილის, ადეიშვილისა და მერაბიშვილის „ჯიბის ჟუსნალისტები“ დღევანდელი ხელისუფლების პირობებშიც გადასარევად გრძნობენ თავს და იმ ტელევიზიებშიც ჯეჯილობენ, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ თავისი მხარდამჭერი ჰგონია?!



რაღა დაგიმალოთ და ხანდახან შთაბეჭდილება მრჩება, რომ „ქართულ ოცნებას“ დიდი სურვილი აქვს, „ნაცმოძრაობას“ სამარეში ჩაჰყვეს!

**— „ქართულმა ოცნებამ“ ლამის ნახევარი „ნაცმოძრაობა“ მინისტრებად და დეპუტატებად გაამწესა და რაღა გიკვირთ?**

— ის მიკვირს, ჩემო ჯაბა, რომ ამ ქვეყანაში მედროვეებისა და უზნეო ხალხის დრო არა და არ დამთავრდა. პირდაპირ ვაცხადებ და ვისაც უნდა, იმას ეწყინოს — ქართულ მედიასივრცეში მხოლოდ „ასავალ-დასავალი“ და „საერთო გაზეთი“ არიან, რომლ;ებსაც თავიანთი პრინციპული პოზიცია აქვთ და არასოდეს გაუხვევიათ განზე, დანარჩენები კი ყოველთვის „ერთ ადგილს“ ათამაშებდნენ და დღესაც იმავეს აგრძელებენ!

**პირდაპირ ვაცხადებ და ვისაც უნდა, იმას ეწყინოს - ქართულ მედიასივრცეში მხოლოდ „ასავალ-დასავალი“ და „საერთო გაზეთი“ არიან, რომლ;ებსაც თავიანთი პრინციპული პოზიცია აქვთ და არასოდეს გაუხვევიათ განზე, დანარჩენები კი ყოველთვის „ერთ ადგილს“ ათამაშებდნენ და დღესაც იმავეს აგრძელებენ!**

მიაქციეთ ყურადღება — ის სიბინძურეც, რომელიც ქართულ ეკლესიაში ე. წ. ციანიდის საქმით დატრიალდა, ჟურნალისტის ხელით გაკეთდა!

**— ჟურნალისტ ირაკლი მამალაძეს გულისხმობთ, რომელმაც დეკანოზი გიორგი მამალაძე ფარულად ჩაწერა?**

— დიახ, ბატონო ჩემო!

**— კი მაგრამ, თუ დანაშაული იგეგმებოდა, რა ექნა ირაკლი მამალაძეს, გაჩუმებულიყო და სავარაუდო დანაშაულის თანამონაწილე გამხდარიყო?**

— ჟურნალისტი მამალაძე რომ ამბობს, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედეო, ეს ენის ტლიკინია და სხვა არაფერი. დიდი პროვოკატორი ჩანს ეს ირაკლი მამალაძე და თან იმდენად წამხდარია, რომ თავის მეგობარს, მოგვარეს, შინაურ კაცს ასეთი სიბინძურე გაუკეთა. ვთქვათ, ის დეკანოზი მამალაძე მართლა გადავიდა ჭკუიდან და უბედურების ჩადენა გადაწყვიტა... იმის ნაცვლად, რომ ჟურნალისტ მამალაძეს მისთვის ხელი მოეკიდა და ეთქვა — ძმაო, აზრზე მოდი, თავს ნუ იღუპავო, იმის ნაცვლად, რომ სანათესავო, სამეგობრო შეეყარა — კაცი თავს იღუპავს და რამე ვუშველოთო, ფარულად ჩაწერა და პროკურატურაში დააბეზღა!

გეუბნებით — როგორც „ციანიდის საქმეა“ თავიდან ბოლომდე შეთითხნილი, ისეა შეთითხნილი „ართული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციების უმრავლესობაც!

ერთი სიტყვით, საქართველოში მდედრობითი და მამრობითი სქესის ქართველი „მუხთარლი“ გვყავს, რომლებიც ყოველდღიურად ცდილობენ, ქართულ ჟურნალისტიკას მართლაც „მეშოკი“ წამოაცვან!

**— მერედა, რა ეშველება, ამ ამბავს, ბატონო ვახტანგ?**

— ის ადამიანები, რომლებსაც ქვეყნის მართვის სადავეებთან მიუწვდებათ ხელი, დროზე უნდა მოეგონ გონს, ხოლო აფგან მუხთარლის რაც შეეხება, მასზე მისმა აზერბაიჯანმა იდარდოს, ჩვენ აფგანის ჭირისუფლობას თავი დავანებოთ და ჩვენს საქართველოს მივხედოთ, სანამ ქართველი „მუხთარლები“ ქვეყანას თავზე დაგვამხობენ.

ესაუბრა
**ჯაბა ხუბუა**

**„ასავალ-დასავალი“, N24, 2017 წლის 12-18 ივნისი**

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# ქართველი ხალხის უმრავლესობა არც პროდასავლელია და არც პრორუსი – პროქართველია!

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი და საზოგადო მოღვაწე ნიკუშა შენგელაია:*

**— ბატონო ნიკუშა, აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გარშემო ატეხილი სკანდალი არ ცხრება. პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი მის გატაცებაში ხელისუფლებას ადანაშაულებს, თუმცა, ამის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი ჯერჯერობით არ არსებობს. რა ფენომენთან გვაქვს საქმე?**

— ამ თემაზე ინფორმაციას არ ვფლობ, წარმოდგენა არ მაქვს რა ხდება. ერთადერთი რაც ვიცი მიმდინარეობს გამოძიება და უმჯობესია შედეგს დაველოდოთ. ზოგადად კი, ნებისმიერ საკითხს ასეთი ადამიანები, ვინც ამ აქციებს აწყობს, ქვეყნის სახელის შელახვისთვის იყენებენ, რაც, პირველ რიგში, თავად მათი პრობლემაა, ასე, აშკარად იკვეთება საკუთარი თავის, ქვეყნის მიმართ მათი დამოკიდებულება. იცი, რას ვაკვირდები? — ყველა თავის თავზე ზრუნავს, თავის თავისთვის ირჯება. ასეთია პოლიტიკა. თუ საჯარო პოლიტიკაში ხარ, ყველაფერი უნდა იკადრო. ჯერჯერობით, ვერ ვხედავ ოპოზიციურ სპექტრში ვინმე ქვეყანაზე ზრუნავდეს — ყველა საკუთარი მერკანტილური ინტერესებიდან გამომდინარე ლაპარაკობს და მოქმედებს. ეს ზოგადად ეხება იმ თემას რაც მკითხე. ამ კატეგორიას არ აინტერესებს საკუთარ სამშობლოს რა სახელი, რა მომავალი ექნება, არამედ მხოლოდ საკუთარი თავისთვის ირჯებიან. საბედნიეროდ, საზოგადოება ყველაფერს ხედავს და ამიტომაც არიან ელექტორატში ხელმოცარულნი. ასე სამარცხვინოდ წარადგენენ ეს ადამიანები საკუთარ ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე.

**— საკმაოდ მძიმე სანახავია, როცა ხელისუფლებას „ნაცმოძრაობის“ დამნაშავე რეჟიმის ბრალდებებზე თავის მართლება უწევთ. რატომ ხდება ასე?**

— ის, რასაც „ნაცმოძრაობა“, ვითომ, შეცდომად აღიარებს, მე, დანაშაულად მივიჩნევ. ადამიანის გაუბედურება, ფიზიკური ლიკვიდაცია შეცდომა კი არა დანაშაულია. გეთანხმები, ძალიან ძნელი საყურებელია, როცა ადამიანის უფლებებზე გეპაექრებიან, პასუხს გთხოვენ, თავის მართლების მდგომარეობაში გაყენებენ ის ადამიანები, რომლებიც ყველასთვის ცნობილია რას აკეთებდნენ ხელისუფლებაში ყოფნისას. ვთვლი, რომ დამნაშავეები უნდა გასამართლდნენ, მაგრამ ჩვენ ხომ ცივილური ქვეყანა ვართ, პირდაპირ შურისძიებაზე ვერ გადავალთ. ისევ კანონის სფეროში უნდა მოხდეს მეტი აქტიურობა. ეს ხალხი საჯარო სივრცეში ისევ და ისევ ხალხის არჩევანით მოხვდა. ამაზე უნდა ვიფიქროთ.

**— მუდმივად ერთიდაიმავე წრეზე ვტრიალებთ, ამჟერად, პრო-რუსებად და პრო-დასავლელებად ვართ დაყოფილი, პრო-ქართველი სადღაა?**

— ეს ხასიათიდან გამომდინარეა. იცი რა, ესეც სახადივით უნდა იყოს. ყველაფერი გონივრულად უნდა შევაფასოთ თუ რა სჯობს ქვეყნის მომავლისა და უკეთესობისთვის. ამის ირგვლივ გაერთიანება საქართველოში საკმაოდ ჭირს. ყველა ცდილობს თავად იყოს მართალი და რაღაცას მიაღწიოს. ამ დროს საქართველოსთვის რა არის მთავარი ამას არავინ უყურებს. ჩვენ, ყველანი, პრო-ქართველები უნდა ვიყოთ. პრო-დასავლურობა, პრო-რუსობა ეს კლიშეების მიკვრაა. სად გესმით ასეთი ტერმინები, ტელევიზიით ხომ?! ერთი პარტიის წევრი მეორეს ამ კლიშეს აწებებს, თორემ, ხალხის უმრავლესობა პრო-ქართველია.

სხვათა შორის, ძველადაც ასე იყო საქართველოში — ჩვენს მეფეებს მუდმივად უწევდათ ან სპარსეთის ან ოსმალეთის კარზე მოლაპარაკებები, რათა მშვიდობა შეენარჩუნებინათ. ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს — ეს ეროვნული იდეა, ეროვნული გზაა.

**— ბატონო ნიკუშა, ისევ მასმედიის თემას დავუბრუნდეთ, რომელიც დღეს, ხელისუფლებას, აშკარა საბოტაჟს უწყობს.**

— ეს იმიტომ ხდება, რომ მედია ამით საზრდოობს, მაყურებელს სკანდალით იზიდავს და არ უფიქრდება რას მოუტანს ეს ქვეყანას, ან რამდენად გადამოწმებული მათ მიერ მოყვანილი ფაქტები. მედიის დიდი ნაწილი ასეთია, ყველას არ ვგულისხმობ. უბედურება ისაა, რომ ჩვენთან კვალიფიციური მედია ჭირს, რაც დასავლეთში დაბალანსებულია. შეიძლება ადამიანმა უყუროს მსგავს რამეს, მაგრამ მერე, სხვაგან გადართოს და გაიგოს სინამდვილეში რა მოხდა. ჩვენთან ეს ჭირს. აქ, თოქ-შოუებში ისეთ ხალხს ეძახიან, რომლებიც პირდაპირ ეთერში იყვირებენ, ცემა-ტყეპას ატეხენ. სეირის ყურება, რაც ჩვენთან ხდება სერიოზულ მედიასთან კავშირში არაა. დასავლეთში ამ ყველაფერს სერიოზული ანალიტიკური გაზეთები აბალანსებენ, ჩვენთან ეს ძალიან დეფიციტია.

**— თქვენ ჩემთან საუბრისას ხშირად გითქვამთ, რომ თავმოყვარე ერმა „რუსთავი2“ უნდა გადართოს, მაგრამ თუ გვაქვს არხი, რომელიც უნდა ჩავრთოთ?**

— ალბათ, მაინც „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ დავასახელებდი იმიტომ, რომ იგი არავის ხელში არ არის. თუმცა, არხი გარკვეული პრობლემების წინაშე დგას, მაყურებლისთვის კარგი იქნება თუ უფრო მაღალი ხარისხის პროდუქტს მიიღებს. როცა ინფორმაციის გაგება მინდა „მოამბეს“ ვუყურებ. იმედია, საზოგადოებრივი ტელევიზია მოსახლეობის ნდობას მოიპოვებს.

**— წელან ახსენეთ, დასავლეთში ჩვენი მსგავსი მედიის დაბალანსება სერიოზული პრესით ხდებაო. თუ შეგიძლიათ ჩვენთან არსებული სახელმწიფოებრივად მოაზროვნე რომელიმე მედიასაშუალება დამისახელოთ?**

— ვერ დაგისახელებ, ვერა იმიტომ, რომ ასეთი ტიპის პრესა, თუ კერძო იქნება, შეიძლება არ გაიყიდოს, თავი ვერ შეინახოს. მაშინ ეს უნდა იყოს საზოგადოებრივი ტელევიზიის ტიპის გაზეთი, ანუ, ბიუჯეტიდან ფინანსდებოდეს, რომელშიც სერიოზული ანალიტიკური სტატიები განთავსდება და არავის ინტერესები არ იქნება ჩადებული. ჩვენ ჯერ სოციალურად, ეკონომიურად მოუწყობელი ქვეყანა ვართ, ყველაფერი ამის ხარჯზე ხდება. თორემ, რომ გაანალიზო, თვალები გაახილო როგორ შეიძლება უარყოფით კონტექსტში მოიხსენიო ივანიშვილი, რომელმაც როგორც ერთმა მოქალაქემ თავის ხალხს და ქვეყანას უამრავი სიკეთე გაუკეთა. რაკი უშუალოდ შენ არ მაგადგა „ძღვენით“ იმიტომ ლანძღავ? ხედავ ისევ იქამდე მივედით, ასეთი ადამიანებისთვის საკუთარი თავია მთავარი და არა ქვეყანა, მისი მომავალი. ისინი უმეტესობაში არიან, თავიანთ შეუმდგარობას წარმატებული ადამიანის ლანძღვით ნიღბავენ. ხალხიც ამ ლანძღვა-გინებას კითხულობს. არადა, ბრმა, ყრუ ან უნამუსო უნდა იყო, რომ ვერ დაინახო რა აქვს გაკეთებული ბიძინა ივანიშვილს თავის ქვეყნისთვის. ამხელა სიკეთეს რომ ვერ ხედავ, უკვე პრობლემა თავად შენშია. სამწუხაროდ, ადამიანი ასეა მოწყობილი. აბა, ჩაატარე ექსპერიმენტი რამდენ ხანში გავრცელდება ცუდი ჭორი და რამდენ ხანში — კარგი. მიხვდები, რომ ადამიანი ცუდის გავრცელებისთვის უფრო მზად არის ვიდრე კარგისთვის.

**— ბატონო ნიკუშა, სააკაშვილის პერიოდში მიღებული კანონის „სიტყვის თავისუფლების გამოხატვის შესახებ“ თანახმად, ადამიანს შეუძლია ნებისმიერ პირს ცილი დასწამოს და ამაზე პასუხს არ აგებს, რაც არცერთი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობაში არ გვხვდება. ეს რამდენად მართებულია?**

— სააკაშვილი თავად იყო დაბრალების, ტყუილების სიმბოლო. მე თუ მკითხავ, ეს კანონი გადასახედია. კანონმა იმ ადამიანების უფლებების დაცვაც უნდა დაარეგულიროს, რომლებიც ცილისწამების, ტყუილის მსხვერპლნი არიან.

სულხან-საბა გავიხსენოთ — ცულით გატეხილს გაამრთელებ და სიტყვით დაკოდილს ვერაო. ბევრ ადამიანს უხდება თავის მართლება იქ, სადაც არ აქვს თავი გასამართლებელი. რა არის დღევანდელი სასჯელი — სადღაც, მეოცე გვერდზე ჟურნალისტისგან ბოდიშის მოხდა? კანონი აუცილებლად უნდა გამკაცრდეს. ყველა ცივილურ ქვეყანაში ასეა, რედაქციებთან, ტელევიზიებთან ძალიან ბევრი სასამართლო დავები მიმდინარეობს. ეს არ არის სამართლიანი, რაც აქ ხდება. თავისუფლება თავისთავად დიდი ცნებაა, მაგრამ სამართალი კიდევ უფრო დიდი.





**თამარ შველიძე**
555 23 28 24

## მანანა ნიკოლაიშვილი:

# ოცდახუთი წელიწადია ქართული განათლების სისტემას მაფია მართავს!

### ნეტავ თუ იცის ალექსანდრე ჯეჯელავამ, რა უბედურება ტრიალებს მის თავს და რა მაფიოზები ახვევია გარშემო?



**პედაგოგთა საკვალიფიკაციო ტესტირების საგანგაშო ფინალი, განათლების საერთაშორისო კვლევების დრამატული შედეგები და საატესტატო გამოცდებზე ჩაჭრილი 11 000 მეთორმეტე კლასელი – რა ხდება ქართული განათლების სისტემაში, როგორ დაიხარჯა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თუ ქვეყნის გარედან შემოსული მილიონები, როგორ შეიქმნა მაფიოზური სტრუქტურები განათლების სისტემაში, რატომ ვერ მართავს განათლების მინისტრი სიტუაციას და რატომ ვერ ახერხებს სახელმწიფო წარმატებული რეფორმა გატარებას? ამ და სხვა თემებზე „საერთო გაზეთს" განათლების ექსპერტი და „განათლების ლიგის" პრეზიდენტი მანანა ნიკოლაიშვილი ესაუბრა:**

– დიდი ხანია განათლების სისტემაში რეალური მართვა აღარ არსებობს და ყველაფერს მაფია მართავს! რაც ყველაზე სამწუხაროა, „ქართული ოცნების" მმართველობის დროს, განათლების მაფია კიდევ უფრო მომძლავრდა, რადგან მაღალ პოზიციებზე დააბრუნეს სისტემიდან წლების წინ გაშვებული ადამიანები..

– **იქნებ, დაგვიკონკრეტოთ, ვის გულისხმობთ?**

– თუ მდგომარეობის გამოსწორება უნდათ, თვითონ ეძიონ, მაგრამ სურვილი რომ არ აქვთ, იმიტომ ვისმენთ აღვირახსნილ და დემაგოგიურ საუბრებს ამ კატასტროფული შედეგების გამომწვევ მიზეზებზე. ეს შედეგები რომ დადგებოდა, მე და თქვენ 10-15 წლის წინ სხვადასხვა გამოცემებში ვწერდით, მაგრამ იმ ხუთი წლის განმავლობაში, რაც „ქართული ოცნება" ხელისუფლებაშია, მაფია გაძლიერების ნაცვლად, რომ მოეხსნათ, შედეგები 60-70%-ით შემცირებული იქნებოდა.

– **სააკაშვილის ხელისუფლების დროს, განათლების სისტემაში ხელისუფლებასთან დაახლოვებული თუ მის შიგნით მყოფი რამდენიმე, გავლენიანი ადამიანის ინტერესი გამოიკვეთა. მაფიაში ამ ხალხს გულისხმობთ?**

– ეს მაფია სააკაშვილის მოსვლამდეც მოქმედებდა. ახალი წევრები დაემატა, თუმცა, თითქმის არავინ გამოკლებია, ამიტომ განათლების მაფიაზე საუბარი 90-იანი წლებიდან უნდა დავიწყოთ, როდესაც ევროსაბჭოს, ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის რეკონსტრუქციისა თუ მსოფლიო ბანკის და სხვადასხვა მეგობარი ქვეყნების მთავრობებმა სისტემის დახმარების მიზნით, საქართველოსკენ უზარმაზარი ფულის ნაკადები მომართეს. კვაჭანტირაძის მინისტრობის დროს, პირველი თაობის რეფორმებზე მეგობარი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სოლიდური თანხები იყო გამოყოფილი, თუმცა მოგვიანებით, ეს რეფორმები დაიწუნეს. ამის შემდეგ, რეფორმების მეორე ტალღა დაიწყო. 1995 წლის 19 სექტემბერს მიიღეს განათლების სისტემის გარდაქმნის სამთავრობო დოკუმენტი და ეს პროცესი იმაზე უხვად დაფინანსებული გახლდათ, ვიდრე მსოფლიო ბანკის 60 მილიონიანი პროგრამა. 1998 წელს კვაჭანტირაძე კარტოზიამ შეცვალა და რეფორმის კიდევ რამდენიმე ტალღა განხორციელდა. რაც შეეხება მსოფლი ბანკის 60 მილიონიან სესხს, ის თავიდან 30 მილიონი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმდროინდელი პრეზიდენტის – ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტისა და ნაცნობობის წყალობით, თანხა გაორმაგდა და 60 მილიონი გახდა. ვიცით, რომ ეს ფული სააკაშვილის რეფორმებზე დაიხარჯა, მაგრამ ისიც მშვერნივრად ვიცით, რა შედეგები მოგვცა ამ რეფორმებმა. მართალია, ეს იყო მსოფლიო ბანკის ძალიან დაბალ პროცენტიანი (0.75%) სესხი, მაგრამ ეს მაინც ჩვენი გადასახდელია?

– **როგორ ფიქრობთ, ფული დაიხარჯა არამიზნობრივად თუ რეფორმები არ ვარგოდა?**

– ყველაფერი ერთად. ფაქტია, რომ სანამ ჩვენი განათლების ხარისხის ამაღლებაზე ქვეყნის ბიუჯეტიდან თუ უცხო ქვეყნებიდან გამოგზავნილი ასობით მილიონი ლარი დაიხარჯებოდა, მანამდე განათლების ასჯერ უფრო მაღალი ხარისხი გვქონდა. მე ჩემს მოგონილს არაფერს ვამბობ, კვლევები ადრეც ტარდებოდა და ეროვნული თუ საერთაშორისო კვლევის შედეგებით, განათლების ხარისხით, მასობრიობით, ერის განსწავლულობით, წერა-კითხვის ცოდნით და ლოგიკური თუ კრიტიკული აზროვნების უნარით, მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე ვიდექით. ახლა კი რეიტინგების უკანასკნელ ადგილებზე, სადღაც აფრიკის ქვეყნებთან ერთად ვართ.

– **სააკაშვილის ხელისუფლებამ რეალობა რომ დაემალა, საერთაშორისო კვლევებიდან გამოსვლა არჩია. დღეს რეალობას აღიარებენ, თუმცა ცდილობენ 11 000 მოსწავლის საატესტატო გამოცდებზე ჩაჭრა და თუ საერთაშორისო კვლევებში მიღებული ცუდი შედეგები ყველაზე დაბალ რგოლს – მასწავლებელს გადააბრალონ.**

– ამიტომ ვთქვი, რომ ქვეყანაში მოქმედებს განათლების მაფია, რომელიც შექმნილი მდგომარეობის რეალურ მიზეზებს მალავს. თანამედროვე პოლიტიკურმა ცხოვრებამ დაადასტურა, რომ როდესაც ქვეყანაში ასეთი ძლიერი მაფია მოქმედებს, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რომელი პოლიტიკური ძალა მოვა ხელისუფლებაში და ვინ იქნება განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. ამ მაფიას ფესვები ძალიან შორს აქვს გადგმული და ზურგს უცხოური საერთაშორისო ორგანიზაციები უმაგრებს, რომლებიც ორ ათეულ წელზე მეტია, გრანტებს, სესხებს და საჩუქრებს იძლევიან.

– **ამისთვის მადლობის მეტი რა გვეთქმის?**

– მე არ მითქვამს, რომ უმადურები უნდა ვიყოთ და ჩვენთვის გაწეული დახმარება არ დავაფასოთ, მაგრამ მე რომ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი , მით უმეტეს, დონორი ორგანიზაციის სათავეში მდგომი ადამიანი ვიყო, ეს ფული საქართველოში წავა, ჩინეთში თუ სინგაპურში, თვალს არ მივადევნებ? არ ვიკითხავ, არ გავაგზავნი ჩემს წარმომადგენელს და ბოლოს და ბოლოს წელიწადში ერთხელ არ ჩავალ და არ ვნახავ ათეულ და ასეულ მილიონ დოლარს წლების განმავლობაში რისთვის ვაგზავნი? ყველა დონეზე მიმუშავია და ძალიან კარგად ვიცი, რამდენი ფულია შემოსული მაგალითად, ქუჩის ბავშვების თუ სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად, თუმცა, ამ მიმართულებით განსაკუთრებული შედეგები არ ჩანს და ორი ათეული წლის შემდეგ სახეზეა მეტი სიღატაკე და სოციალურად დაუცველთა სახელმწიფო პროგრამაში ჩართული მეტი ოჯახი. გავიხსენოთ, რამხელა თანხები მოედინებოდა განათლების სისტემაში საკანონმდებლო ბაზის შექმნის, სკოლების დეცენტრალიზაციის, სამეურვეო საბჭოების გადამზადების და სხვა მიმართულებებით. საუბარია ათეულ მილიონობით დოლარზე, ამიტომ მე მაინტერესებს, ამ ფულით რა გაკეთდა? ცუდი სტანდარტები, ცუდი პროგრამები, ცუდი სახელმძღვანელოები და „კორუფციული ხვრელებით" სავსე მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა, რომელსაც „ქართული ოცნება" ლამის ყოველ დღე ჭრის და კერავს და ყოველი ეს ცვლილება კიდევ ახალ საბიუჯეტო დაფინანსებებთან არის მიბმული? და ამ ფონზე, კიდევ ახალი სესხებს, გრანტებს, საჩუქრებს და დახმარებებს ვიღებთ. მოგეხსენებათ, 2013 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ 140 მილიონი დოლარი გამოგვიყო. როგორც ხელისუფლებამ განაცხადა, ეს არის უმსხვილესი ინვესტიცია, რომელიც ხორციელდება შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაფუძნებული განათლების სისტემის დანერგვის მიზნით, რაც თურმე ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას და სიღარიბის შემცირებას ჩვენს ქვეყანაში. წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, ძალიან მეეჭვება, რომ ამან რამე სასიკეთო შედეგი მოგვცეს, მაგრამ დაველოდები..

– **როგორც ვიცი, მსოფლიო ბანკის 60 მილიონიანი კრედიტიდან მასწავლებელთა გადამზადებაზეც დიდძალი ფული დაიხარჯა, თუმცა ამაზე რატომღაც არავინ საუბრობს..**

– დიახ, მასწავლებელთა ტრენინგებზე ძალიან დიდი ფულია დახარჯული, მაგრამ ჩაჭრილი მასწავლებლების რიცხვით თუ ვიმსჯელებთ, შედეგი ნულოვანია. ახლა ქვეყნის შიგნით მობილიზებული ფული და მისი ხარჯვა გავიხსენოთ.. ჩვენ თავის დროზე დავწერეთ, რომ ბიძინა ივანიშვილის ფულით დაფინანსდა სააკაშვილის საპრეზიდენტო მეგა პროექტი „იაკობ გოგებაშვილი". პროექტი ითვალისწინებდა საქართველოს ყველა სკოლისთვის სახურავებისა და კარ-ფაჯრების შეცვლას, სველი წერტილების მოწესრიგებას და სასწავლო ინვენტარის შეძენას. მილიონები დაიხარჯა საპრეზიდენტო პროგრამებზე, რომელიც სკოლების იტერნეტიზაციას და კომპიუტერებით აღჭურვას ითვალისწინებდა. გემახსოვრებათ, სააკაშვილმა თავის საპრეზიდენტო პროგრამაში ჩაწერა, რომ პირველი საპრეზიდენტო ვადის დასრულების შემდეგ ანუ 2009 წელს საქართველოში ყველა სკოლა ევროსტანდარტების იქნებოდა. იმასაც ამბობდა, მინიმუმ 2-3 წელიწადში ყველა სკოლაში მაღალი სიხშირის ინტერნეტი



იქნებაო. რეალურად რა სურათი გვაქვს? 3-4 ივნისს გამოცდების ეროვნულ ცენტრში საერთაშორისო და ეროვნული კვლევების შედეგებთან დაკავშირებით, სამთავრობო ღონისძიება ჩატარდა, რომელსაც მინისტრები, პარლამენტარები და სხვადასხვა უწყებების პირველი პირები ესწრებოდნენ. სწორედ იქ გააჟღერეს მონაცემები, რომ კომპიუტერებისა და ინტერნეტიზაციის მხრივ, კატასტროფული მდგომარეობა გვაქვს და მსოფლიოში ლამის ბოლო ადგილებზე ვართ. აღარაფერს ვიტყვი სკოლის შენობებში, განსაკუთრებით საპირფარეშოებში არსებულ მდგომარეობაზე. ლოგიკურად იბადება კითხვა — სად წავიდა ბიძინა ივანიშვილის გამოყოფილი და კიდევ ბევრი სხვა ფული? როგორც გითხარით, განათლების დაბალი დონის ნამდვილ მიზეზებზე საუბარი მაფიის ინტერესებში არ შედის, იმიტომ, რომ სისტემის განადგურებით მოგებული დარჩა. სააკაშვილის რეფორმის საფარქვეშ დახურეს 1200-ზე მეტი სკოლა, მთლიანად გაანადგურეს პროფესიული განათლების ქსელი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს ისეთი



ლიკვიდაცია ჩაუტარეს, რომ მერე სახელმწიფო სტატისტიკა დახურეს. მარტო თბილისში, მარტო ერთ დღეს 75 ბაგა-ბაღი დაიხურა. სწორედ ამიტომაა დღეს ბაღის ჯგუფებში 50 და 60 ბავშვი რომ ჰყავთ და ეს იუნისეფმა როგორც სიჩუმის გაკვეთილები ისე შეაფასა. საგანმანათლებლო ობიექტების მასობრივად დახურვის შედეგად, დარღვეულია განათლების მასობრიობა და თანაბარ პირობებში განათლების მიღების უფლება, რაც საერთაშორისო სამართლისა და ჩვენი კონსტიტუციის მოთხოვნა გახლავთ. რა თქმა უნდა, სკოლების დახურვას კლასების გაერთიანება მოჰყვა. 40 და 50 ბავშვიან კლასებს დაუმატეთ უვარგისი სტანდარტები, პროგრამები, სახელმძღვანელოები და კიდევ გვიკვირს, რომ ეროვნული და საერთაშორისო კვლევებით, უკანასკნელ ადგილებზე ვართ და გამოცდებზე 11 000 ბავშვი იჭრება? ან ის რატომ გვიკვირს, რომ ბავშვები დაავადდნენ და მასიურად ხერხემლის გამრუდებები აქვთ? ჩვენ ხომ ვიცით, რომ ბავშვისთვის ფიზიკური აქტივობა აუცილებელია? სააკაშვილის ხელისუფლებამ კი მასობრივად დახურა და პირწმინდად გაიყიდა სპორტული სკოლები, მოედნები და ფიზიკური კულტურის განმახორციელებელი კერები, რომლებსაც ჰქონდა მარტო შენობები კი არა, ათასობით ჰექტარი მიწა ჰქონდათ და ეს უძრავ-მოძრავი ქონება სააკაშვილის ჯიბის ბიზნესმენებს გადაეცათ.

— **სპორტული და საგანმანათლებლო ობიექტების გაყიდვიდან მიღებული ფული ბიუჯეტში თუ აისახა?**

— ეს მათ უნდა გამოაქვეყნონ და გვაჩვენონ, წლების მიხედვით, ბიუჯეტში რა ფული შევიდა. კიდევ ერთი მიზეზი, როს გამოც განათლების დონე დაეცა, ისაა, რომ სკოლებისა და ბაღების გარდა, ნაციონალებმა სკოლის გარე დაწესებულებათა ქსელიც დაშალეს. სააკაშვილის მოსვლისთანავე, სკოლაში საგნობრივი წრეები დახურეს და სასწავლო საათები ტოტალურად შეამცირეს, რაც პირდაპირ განათლების ხარისხს ურტყამს დარეპეტიტორების ინსტიტუტს აძლიერებს. რაც ყველაზე საინტერესოა, სასკოლო წრეების დახურვის პარალელურად, სკოლის გარეთ, ფასიანი მოსამზადებელი ცენტრები შექმნეს. განათლების მაფიამ შექმნა ისეთი სისტემა, რომლის დახმარებითაც ღარიბ-ღატაკი მშობლის ჯიბიდან ყოველწლიურად ნახევარ მილიარდამდე ლარს ქაჩავს. მშობელი იძულებულია ბაზარზე იყიდოს ის ცოდნა, რასაც სასკოლო წრეები ნაწილობრივ მაინც აძლევდნენ. რა თქმა უნდა, ეს ცენტრები სააკაშვილთან დაახლოებული პირებს და პოლიტიკურ თანამოაზრეებს ეკუთვნის. სკოლის გარეშე დაწესებულებათა ქსელს ეკუთვნოდა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები, ნაციონალურმა მოძრაობამ რომ დახურა ან თვითდაფინანსებაზე გადაიყვანა. სამხატვრო და მუსიკალური სკოლები, ტექნიკუმები, კოლეჯები, საჯარო სკოლებთან არსებული მუსიკალური სტუდიები, რომელთა უმეტესობა დახურეს და რაც დარჩა, თვითდაფინანსებაზე გადაიყვანეს. ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები, ნიჭიერ ბავშვთა სკოლები, სპორტული სკოლები.. ყველა ადგილი დახურეს, სადაც ბავშვი სკოლაში მიღებულ ცოდნას იმაღლებდა და მოსწავლეთა ოლიმპიადებში მაღალ შედეგებს აღწევდა და მათ ადგილას სახლები აიშენეს ან თავიანთი კერძო სტრუქტურები გახსნეს. დღეს მხოლოდ სამი სკოლის ამარა ვართ დარჩენილი: კომაროვის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა, ვეკუას სახელობის ფიზიკა-მატემატიკური და ქუთაისის რაზმაძის სახელობის სკოლა. მეოთხე დემირელის სკოლაა, რომელიც ალბათ, უახლოეს მომავალში დაიხურება. თქვენი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი სკოლების თუ სასწავლო დაწესებულებების დახურვა განათლების ხარისხს და ცოდნის დონეს აამაღლებდა? ამის შემდეგ კიდევ უნდა არსებობდეს კითხვა, რატომ დაეცა განათლების ხარისხი და რეპეტიტორების ინსტიტუტი რატომ გაძლიერდა?

— **რეპეტიტორების ინსტიტუტი გაძლიერებული სწავლების სკოლებისა და სკოლის გარე დაწესებულებების ქსელის პირობებშიც არსებობდა..**

— არსებობდა, მაგრამ არა ასეთი მასშტაბით. სააკაშვილმა ამისთვის მთელი ცხრა წელი იმუშავა და საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყო, რომ თავისი მთავრობის წევრები და ახლო გარემოცვა გაემდიდრებინა. სად, რომელ ქვეყანაში აუმაღლებია განათლების ხარისხი კვლევითი ინსტიტუტების, სახელმწიფო უნივერსიტეტებს სასწავლო კორპუსების, სკოლებისა და ბაგა-ბაღების გა-



ყიდვას? სახელმწიფო სტრატეგიული მნიშვნელობის დარგების — სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარიის გარეშე დატოვეს და ამ პროფილის სახელმიფო უმაღლესი სასწავლებელი აღარ გვაქვს. შეიძლება, რომ 21-ე საუკუნეში განათლების სისტემაში არსებული ინოვაციური ცენტრი დახურო და ხარისხიან განათლებაზე გქონდეს პრეტენზია? პედაგოგიკის ინსტიტუტი დახურეს, დახელოვნების ინსტიტუტების სისტემაში შემავალი შვიდივე ინსტიტუტი დახურეს, მეთოდ-ცენტრები დახურეს, განათლების განყოფილებები დახურეს, ინსპექტორების ინსტიტუტები დაშალეს, განათლების განყოფილებები, საქალაქო და საოლქო სამმართველოები დაშალეს.. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა საქართველო, რომელსაც განათლების მართვის სტრუქტურა არ გააჩნია და რაც მთავარია, ვაუჩერული დაფინანსების დანაშაულებრივ წესი შემოიღეს, რომელსაც ჩვენ სასიკვდილო მარყუჟი ვუწოდეთ. სკოლას მარტო ვაუჩერული კი არა, ცენტრალური და მუნიციპალური ბიუჯეტების და ფონდების ანუ სამი ოთხი სახის დაფინანსება უნდა ჰქონდეს.

— **თუ ყველაფერი ასე ცუდადაა, თუ სისტემას მაფია მართავს და განათლების ხარისხი ქვემოთ იწევს, ახალი ხელისუფლების განათლების მინიტრმა რატომ დაიწყო მუშაობა იმის განცხადებით, რომ რომ საკადრო ცვლილებებს არ განახორციელებს და წინა ხელისუფლების დროინდელი რეფორმების გამტარებლები ადგილზე დარჩებიან?**

— მარგველაშვილს ჰკითხეთ, ვინ უთხრა, რომ გადასარევი კადრები ჰყავდა. პროფესიონალები რომ ჰყოლოდათ, ასეთი შედეგები არ ექნებოდათ და ასეთი დამანგრეველი რეფორმები არ გატარდებოდა. როცა განათლების მაფიაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ მაფია ფეხს იკიდებს, როცა კანონმდებლობა კორუმპირებულია და სისტემა ანტიდემოკრატიული. რა თქმა უნდა, ღირსეულ პარლამენტარებს არ ეხება, თუმცა ჩვენ ყველა მოწვევის პარლამენტში გყვავდა არასაიმედო, მაფიოზი პარლამენტარები, რომლებიც მხოლოდ თავიანთი არსებული თუ ახალი ბიზნესებისთვის იღვწოდნენ. მთავრობის წევრები, რომლებმაც ფულის შოვნის შემდეგ, ბიზნესსა და არასამთავრობო სექტორში გადაინაცვლეს. და ა.შ. განათლების მაფია პირველ რიგში, ეს არასაიმედო პარლამენტარები და მთავრობის წევრებია და რაც მთავარია, მაფიის ყველაზე დიდი საყრდენი და შემადგენელი — არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები და რა თქმა უნდა, მათი პარტიული ლიდერებია. სააკაშვილი უზრუნველყოფდა, რომ მისი გარემოცვის წევრებს კარგად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები შეექმნათ და ფული არ მოკლებოდათ. თუ გახსოვთ, მისი პრეზიდენტობის დროს, ძალიან დიდი ოდენობის საბიუჯეტო ფული გამოიყო მასწავლებლების გადამზადების ვაუჩერზე. 3 მილიონი, 6 მილიონი, 9 მილიონი, 15 მილიონი და ა.შ. წლების მიხედვით. ამ ფულის ასათვისებლად, ნაწვიმარზე რომ სოკო ამოდის, ისე აღმოცენდნენ მასწავლებელთა გადამზადების მიზნით შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციები და ყველა მათგანი სააკაშვილის გარემოცვისა თუ ოჯახის წევრის ბიზნესი იყო. როგორ მოამზადეს, სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგებზე ჩანს, მაგრამ ფული მშვენივრად აითვისეს. სხვათა შორის, აუდიტის დასკვნის თანახმად, იმ ორგანიზაციებიდან

6 გვ.







# ოცდახუთი წელიწადია ქართული განათლების სისტემას მაფია მართავს!

← 5 გვ.

ნახევარზე მეტი უფლებამოსილი არ იყო, რომ ტრენინგი ჩაეტარებინა. ეს დასკვნა ახლაც გენერალური პროკურატურის რომელიღაც თაროზე დევს. გასაგებია რომ სააკაშვილი თაროზე შემოდებდა და თავისი „ფულის საჭრელ ცეხებს“ არ დახურავდა, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ რატომ არ ჩამოიღო თაროდან? იმიტომ, რომ მაფიის წარმომადგენლები სამინისტროში, სსიპებში, სხვადასხვა სტრუქტურებში სხედან და ამის საშუალება არ მისცეს. ვინმემ არ იფიქროს, რომ მე კერძო სექტორს ვებრძვი, არავითარ შემთხვევაში, პირიქით, მივესალმები მის არსებობას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ კერძო ბაღები, კერძო სკოლები, კერძო პროფესიული სასწავლებლები და უმაღლესი სასწავლებლები, სადაც უდიდესი ფინანსური ნაკადი მოძრაობს, მაფიის შემადგენელი ნაწილია. ასევე მაფიაში მოვიაზრებ სსიპებს, რომლებიც ბიუჯეტიდან ფინანსდებიან და საქართველოს მოსახლეობის ჯიბეებიდან უზარმაზარ ფულს ქაჩავენ. ეს სიპები უკვე 15 წელია არსებობს და მათი ყოველწლიური ბიუჯეტი ათობით მილიონი ლარია.. სრული პასუხისმებლობით ვამბობ, ეს ფული და უცხოური ორგანიზაციებიდან შემოსული გრანტები რომ სკოლებისკენ მიემართათ, რომ უკვე ევროპული სტანდარტების სკოლები გვექნებოდა. ერთადერთი სიპი, რაც უნდა არსებობდეს და ამას გვერდს ვერ ავუვლლით, განათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი ანუ აკრედიტაციის ცენტრია. თუმცა, ისიც ლავა თუ ხვდება, რა ხდება მის თავს?

**— თქვენი აზრით, წინა ხელისუფლების დროინდელ მეფიოზურ სტრუქტურებს დღევანდელ ხელისუფლებაში დასაყრდენი არ ჰყავთ?**

— რა თქმა უნდა, ჰყავთ. „ქართული ოცნება“ ბრწყინვალე პროგრამით მოვიდა, რომელიც ჩემნაირმა ექსპერტებმა დაწერეს. რატომ არ განახორციელეს? იმ პროგრამაში არ ეწერა, რომ სააკაშვილის მაფიოზი კადრები შეინარჩუნეთ და კოჰაბიტაცია გამოაცხადეთო. გუშინ გადაცემიდან რომ გამოვედი, მასწავლებელი შემხვდა და მითხრა, რომ ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორების სიებში რომ იყო, ის ხალხი სასერტიფიკაციო გამოცდებზე გადის და უპრობლემოდ აბარებსო. მნამდეც არაერთ დირექტორს უთქვამს ჩემთვის, რომ ხალხი, რომლის სკოლიდან გაშვებას ვაპირებდი და თავის საგანში წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ლამის რეიტინგული სიების სათავეში მოქცნენო. დაინტერესდნენ სახელმწიფო სტრუქტურები და გაარკვიონ რა ხდება თუ უნდათ რამის გარკვევა და გამოსწორება. მაგრამ მოდი ისიც ვთქვათ, რა კეთდება სახელმწიფოს მხრიდან, რომ ასეთი შედეგები არ იყოს? არაფერი ლაპარაკის გარდა და ეს ლაპარაკიც დემაგოგიურია. ქართულ ოცნებას პირველ რიგში, პრემიერ მინისტრის დონეზე, მიუკერძოებელი ექსპერტებისა და მთავრობის წევრებისგან უნდა დაეკომპლექტებინა სახელმწიფო კომისია, რომელიც ბეჭდური თუ ელექტრონული მედიით გავრცელებული ინფორმაციას შეისწავლიდა და გამოიძიებდა, მაგრამ ეს არ გააკეთა. მე



არავითარ შემთხვევაში სისტემის შიგნით არ უნდა იყოს. ის ხალხის მიერ არჩეულ ორგანოსთან — პარლამენტთან უნდა არსებობდეს და მოუსყიდავი ექსპერტებით იყოს დაკომპლექტებული.

**— ზემოთ, პოლიტიკური პარტიები ახსენეთ, რომლებსაც განათლების მაფიოზური სტრუქტურების შემადგენელად მოიაზრებთ. იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რომელ პარტიებს გულისხმობდით?**

— კითხვას შემოგიბრუნებთ. განათლების სისტემაში ყველაზე დიდი დოზით წარმოდგენილი რომელი პარტიების წარმომადგენლები არიან?

**— თუ არ ვცდები, ნაციონალური მოძრაობისა და რესპუბლიკური პარტიის.**

— არ ცდებით და ნამდვილად ასეა. ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, მაფიაში მოიაზრებიან დედათა და ბავშვთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, ხალხი, ვინც სხვადასხვა რეფორმის სათავეებთან იდგა და ცუდი რეფორმები გაატარა, სამინისტროში, მის სტრუქტურებში, სსიპებში, უმაღლეს სასწაბლებლებში, კერძო სექტორში და არასამთავრობო სექტორში მყოფი ადამიანები. ჩვენ ძალიან ბევრი არაკორუმპირებული მინისტრი გვყავდა, რომელმაც მაფიას ძვრა ვერ უყო. თუნდაც ალექსანდრე კარტოზია, გუჩა კვარაცხელია და ბევრი სხვა.. და საინტერესოა, ალექსანდრე ჯეჯეევროპული და მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, წინა ხელისუფლებასაც ვეუბნები და ამათაც ვეტყვი, რომ განათლების პრობლემებმა ბევრი ხელისუფლება გადაიყოლა და თუ ამ პრობლემებს ვერ მოაგვარებთ, ნაადრევად მოგიწევთ პოლიტიკური სარბიელიდან წასვლა. ყველამ ვიცით, რომ დასავლეთი რომელიმე პოლიტიკური ძალის მესამედ ხელისუფლებაში მოსვლას მხარს არ დაუჭერს. ასეთ შემთხვევაში, ვინ მოვა ამათი წასვლის შემდეგ? ერთადერთი ძალა, რომელიც კოჰაბიტაციის წყალობით, ასე თუ ისე შენარჩუნებულია, ნაციონალები არიან. გამოდის, რომ ახლა ისინი მოვლენ და ასე ითამაშებენ პოზიცია-ოპოზიციობანას. ერთადერთი გამოსავალია, რომ ისეთი ხელისუფლება მოვიდეს, რომელიც პარლამენტში საგამოძიებო კომისიას შექმნის და სააკაშვილის კი არა, შევარდნაძის დროინდელ უკანონობებსაც გამოიძიებს. ხარისხი ისე არ მოვა.. თუ განათლების მასობრიობა არ დაიცავი, თუ ის სკოლა და ბაღი არ გაუხსენი ბავშვს, რომელიც სააკაშვილმა დაუხურა, თუ კვალიფიციური მასწავლებელი არ მიუყვანე და კარგი სახელმძღვანელოები არ გაუკეთე, თუ სკოლის გარეშედაწესებულებების ქსელი არ აღუდგინე, არაფერი გამოვა.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# რატომ ითხოვს შშმ ჯაბა მურცხვალაძის მამა კომპენსაციას შევარდნაძისა და სააკაშვილის ოჯახისგან?!




***გვესაუბრება საქველმოქმედო ფონდი „ღვთის შვილების“ ხელმძღვანელი გოგიტა მურცხვალაძე.***

— მე მრავალჯერ ვყოფილვარ თქვენი გაზეთის სტუმარი, მაგრამ „საერთო გაზეთის“ მკითხველებს კიდევ ერთხელ შევახსენებ ჩემსა და ჩემი ინვალიდი შვილის თავს... მანამდე კი მინდა მოგიყვეთ იმ დაპირისპირების შესახებ, რაც მქონდა და მაქვს ედვარდ შევარდნაძის ოჯახთან. იმ ვითარებაში, როცა საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი თანხმდება იმაზე, რომ ედვარდ შევარდნაძემ თავისი მმართველობისას დააქცია საქართველო, ხოლო მისი გადადგომის შემდეგ მაოხრებელი სააკაშვილი და მისი ბანდა დაგვიტოვა, ახლახან გაირკვა, რომ, თურმე, ლანჩხუთში, სოფელ მამათში შევარდნაძის სახლ-მუზეუმს ხსნიან. ეს კი დაახლოებით, იმას ნიშნავს, რომ მსოფლიომ იცოდეს იუდას საფლავი და ამ სფლავს ყვავილებით ამკობდნენ, ან მისი სახელობის მემორიალებს დგამდნენ.

მე მივმართე ადგილობრივ ხელისუფლებას, გურიის მაჟორიტად დეპუტატს ქალბატონ ნინო წილოსანს და ამ იდეის განხორციელების შემთხვევაში, მოვუწოდებ შევარდნაძის რეჟიმისგან განადგურებულ ადამიანებს, რომელთა რაოდენობა არცთუ ისე ცოტაა, სამოქალაქო ომის დროს დაჩაგრულებს და პატრიოტ ხალხს, გამოვიდნენ ქუჩაში საპროტესტოდ შევარდნაძის მუზეუმის გახსნის საწინააღმდეგოდ.

**— კი, მაგრამ, ბატონო გოგიტა...**

— ერთი წუთით დამაცადეთ. ვიცი, ალბათ, მეტყვით, რა დროს შევარდნაძეა, სხვაც უამრავი თავსატკივარი არსებობსო, მაგრამ, შეიძლება, ბევრმა არ იცოდეს, რომ საქართველოში დღემდე ბოგინობენ შევარდნაძის შთამომავლები და მისი გამოზრდილები.

მოგეხსენებათ, ჩემი შვილის მდგომარეობა. ის მკურნალობას საჭიროებს, ამიტომაც გავხსენით ანგარიში მის სახელზე, ჩავერთეთ ერთ-ერთ პროექტში, მაგრამ ჩემი შვილის დასახმარებლად შემოსული ზარები მაგთიმ დაბლოკა — წინა ეტაპზე შემოსულ ზარებზე შეცდომა მოგვივიდა და ახლა უნდა ავანაზღაუროთო. 1100 ზარი 1100 ლარი იყო, რომელიც ყაჩაღურად წაართვეს ეტლს მიჯაჭვულ ჩემს ვაჟიშვილს. ქურდბაცაცა მაგთიმ და შევარდნაძის სიძემ — **გია ჯოხთაბერიძემ** მაშინ, როცა მათი მხრიდან აქტიური სპეკულაცია მიდიოდა წლების წინ — **ჯოხთაბერიძემ** და „მაგთიმ“ ინვალიდ ჯაბა მურცხვალაძის უზარმაზარი თანხები გადაურიცხაო. მე მეშინაც ვყვიროდი, მაჩვენეთ გადმორიცხვის ერთი ქვითარი მაინც-მეთქი, მაგრამ რას წარმოგვიდგენდნენ, რაც არ არსებობდა.

ამას გარდა, **შევარდნაძის** ცოლმა **ნანული ცაგარეიშვილმა** უნამუსოდ რომ მოგვატყუა, ჩემი შვილისთვის გარკვეულ ასაკში აუცილებლად გასაკეთებელი ოპერაცია ვითომ თავის თავზე რომ აიღო, უცხოეთიდან პროფესორებს ჩამოვიყვანო, პრესით წინასწარ მადლობა რომ გადამახდევინა, უსინდისოდ მოგვატყუა და ჩემი 24 წლის ვაჟი დღემდე ეტლს რომ არის მიჯაჭვული, ეს არ გაახარებთ შევარდნაძეს და მის ცოლს საფლავში. ამიტომაც ვითხოვ შევარდნაძეების ოჯახისგან კომპენსაციას, თუმცა თანხა როგორ გადასწონის ჩემი შვილის მდგომარეობას...

ეს გზა გააგრძელა სააკაშვილმა და მისმა კნეინამ სანდრა რულოვსმაც. იყო დრო, როცა სასპეკულაციოდ სანდრა ხალხში იმ გაზეთებს აფრიალებდა, სადაც ჩემი შვილის შესახებ იყო მოთხრობილი და ამბობდა: ნახეთ, რა დღეში ჰყავს ხელისუფლებას ინვალიდებიო. იმ პერიოდში დამპირდა, თუკი მიშა ხელისუფლებაში მოვა, ერთ-ერთი შენი შვილი იქნება, რომელსაც საზღვარგარეთ სამკურნალოდ გავაგზავნითო.

**— სანდრამაც მოგატყუათ?**

— ცხადია და ამიტომაც გამწარებულმა ბენზინი შევასხი.

სანდრა მაშინ გადარჩა, მაგრამ ვპირდები, სანამ ცოცხალი ვარ, არ მოვასვენებ იმ ტყუილი დაპირების გამო, რამაც ჩვენს ოჯახს მაშინ იმედი ჩაუსახა.

ცივად მომიშორა ახლანდელმა ე. წ. პირველმა ლედიმ **მაკა ჩიჩუამაც**. მიუხედავად იმისა, რომ მასაც არ ჰყავს აბსოლუტურად ჯანმრთელი შვილი, მე მაინც ზურგი შემაქცია და ბრწყინვალე ქალბატონის ნანა შონიას საშუალებით შეხვედრაზე უარი შემომითვალა.

**— საბოლოოდ, რა ითხოვთ?**

— პირველ რიგში, კომპენსაცია გადამიხადონ შევარდნაძეების ოჯახმა და **სანდრა რულოვსმა** და საჯაროდ მიმოხადონ ბოდიში.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18





## დავით ფურცხვანიძე:

# ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს!

### რატომ „აჭიკჭიკდა“ სხვანაირად საფრანგეთის ციხეში მჯდომი არკადი გაიდამაკი და რა პროვოკაცია იგეგმება ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ?



***გვესაუბრება ანალიტიკური სააგენტო „უსაფრთხოების პრობლემების ანტიკრიზისული ცენტრის“ წარმომადგენელი, პოლიტიკური ექსპერტი, ბატონი დავით ფურცხვანიძე.***

**— ბატონო დავით, თქვენი აზრით, როგორ შეიძლება ჩვენს ქვეყანაში განვითარდეს პოლიტიკური მოვლენები?**

— საქართველოს ემუქრება მრავალმხრივი საფრთხე და ეს საფრთხეები ერთი დიდი პოლიტიკური შეცდომიდან მოდის.

რაც უნდა თვალები დახუჭოს ვინმემ, მოგეხსენებათ, დღეს, საქართველოს ჰყავს ერთი გამოკვეთილი ლიდერი და ეს **ბიძინა ივანიშვილი** გახლავთ. ეს მმართველი, ან თვით ეს ფაქტი ცუდია თუ კარგი, სხვა ამბავია. ჩემთვის ბიძინა ივანიშვილი გახლავთ იმ მატარებლის მემანქანე, რომელმაც ქვეყანა და ხალხი დაუზიანებლად „დეპოში“ უნდა მიიყვანოს. არადა, საფრთხე რეალურად ჩანს. „მემანქანემ“ ვერ შეარჩია გუნდი, რომელიც მას დაეხმარება ამ ამოცანის შესრულებაში. თუკი მას ადრე ჰყავდა „ცუდი“ გუნდი, ახლა გუნდი, ანუ თანამოაზრეები საერთოდ აღარ ჰყავს. არ გამოიკვეთა არანაირი საგარეო პოლიტიკური ვექტორი, შიდა მოწყობის რამენაირი მოდელი, ქვეყნის მატერიალურ-კულტურული ფასეულობების რაიმე სახის კონტურები, არც ის, ვინ ვართ და რა გვინდა. შესაბამისად, არ ვიცით, რა გვინდა მომავლისგან, არ გვაქვს განსაზღვრული ქვეყნის მომავალი სტრატეგიული პერსპექტივა.

ივანიშვილი პირდაპირი მითითებებისა და დირექტივების გაცემისგან თავს იკავებს და სამართავი სისტემა ორიენტაციას იღებს მისი უახლოესი გარემოცვის წევრების მიერ გაკეთებულ სავარაუდო და საკმაოდ უზუსტო მინიშნებებზე, რის საფუძველზეც, ხშირ შემთხვევაში, აკეთებენ მცდარ დასკვნებს და დგამენ არაადექვატურ ნაბიჯებს. მხოლოდ მძიმე შედეგების დადგომის შემდეგ ხვდებიან შეცდომების და დანაშაულის ტოლფასი ქმედებების არსს და საქმის გამოსწორების სანაცვლოდ იწყება ამ მძიმე შედეგების დაფარვის პროცედურები, რაც, ასევე, დანაშაულებრივი ქმედებაა. ვითარება, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მძიმდება და აქ იწყება ყველაზე მძიმე პროცესი: სამართავი სისტემის, პრაქტიკულად, სრული შემადგენლობა, რომელიც უკვე წარმოადგენს ორგანიზებულ დაჯგუფებას, გადადის თამაშის ახალ წესებზე, რაც ივანიშვილისთვის თვალის ახვევაზეა გამიზნული. მარტივად რომ ვთქვათ, ივანიშვილს ატყუებენ და ეს ტყუილი დიდი ხანია გასცდა მარტივ თაღლითობას და მიიღო სახელმწიფო მაფიის სახე. ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებით და სამართავი სისტემის მაქსიმალურად განახლებით, ჯერ კიდევ არსებობს გამოსავალი. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაწყებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი გაღრმავდება და გადაიზრდება სახელმწიფო-პოლიტიკურ კრიზისში, რაც დასრულდება კატასტროფით. ეს არ არის ვარაუდი, არამედ გახლავთ ფაქტობრივი ვითარების მკაცრად არგუმენტირებული ანალიტიკური შეფასება, რომელიც, პირველ რიგში, **ბატონი ივანიშვილისთვის** არის განკუთვნილი, რამეთუ ქვეყნის გადმრჩენელის როლი ძალიან მარტივად შეიძლება შეიცვალოს ქვეყნის მტრის როლზე. ეს კი, თავის მხრივ, როგორც ბევრი ქვეყნის და ლიდერის მაგალითზე ვიცით, ანგრევს და ანადგურებს ერთსაც და მეორესაც.

რაც მოხდა აზერბაიჯანელი ვითომ ჟურნალისტის მიმართ, ეს იყო ამ ხელისუფლების და ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია, იგივე ჩვენი ქვეყნის შიგნით არსებული დესტრუქციული ძალების ხელშეწყობით? ვინ არიან ეს ძალები, ყველას კარგად მოგვეხსენება — ძველი რეჟიმის მავნე ნარჩენებს ვგულისხმობ. ამიტომაც მაინტერესებს, რატომ არავითარი რეაგირება არ ყოფილა შესაბამისი უწყებების მხრიდან იმაზე, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოში ფორმირდებოდა აზერბაიჯანული იატაკქვეშა რევოლუციური მოძრაობა, რომელმაც, აგერ, ქალაქის ცენტრში მოგვიწყო პროვოკაცია.

მაგრამ შევეშვათ ამასაც. არაერთხელ ვცადე, ბატონი ექს-პრემიერისთვის ხმა მიმეწვდინა და ვერ მოვახერხე, რითაც დავრწმუნდი, რომ მასთან აუცილებლად საჭირო ინფორმაციები არ მიდის, არადა, რაზეც ახლა მინდა მოგახსენოთ, ეს არა მხოლოდ ბატონი ბიძინასთვის არის საფრთხისშემცველი, არამედ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას ადგება ზიანი.

სწორედ ამიტომ მოგმართავთ თქვენ და ვიტოვებ იმედს, რომ ჩვენი საუბრები ადრესატამდე მიაღწევს.

ვსვამ კითხვას: რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრიდან აშკარად რომ გაჟღერდეს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ რეალურად პროვოკაციის შემცველი ინფორმაცია, იმოქმედებს თუ არა ეს ჩვენს ელექტორატზე საარჩევნოდ? ცხადია, იმოქმედებს და ეს არ იქნება ჩვენთვის სახარბიელო, თუმცა დავკონკრეტდეთ: საყოველთაოდ იყო ცნობილი უახლოეს წლებში გახმაურებული სკანდალი იარაღით ვაჭრობასთან დაკავშირებით, რაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან ანგოლაში იარაღის ვაჭრობის კამპანიის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს. ამ საქმის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა არკადი გაიდამაკი გახლდათ, რომელიც დღეს საფრანგეთის ციხეში იხდის სასჯელს. არკადი გაიდამაკი 2015 წელს ჩაბარდა სამართალდამცავებს. მაშინ ამბობდნენ, რადგან ის ბიძინა ივანიშვილთან მეგობრობდა, ჩამოფქვავს მასთან ურთიერთობის დეტალებს და ივანიშვილს პრობლემები შეექმნებაო, მაგრამ ასე არ მოხდა, თუმცა, დაახლოებით ერთი თვის წინ, გაიდამაკის საქმის დეტალები რატომღაც გააქტიურდა. ჩემი ინფორმაციით, არკადი გაიდამაკი ხელახლა „აჭიკჭიკდა“ და, როგორც ცნობილი გახდა, არა ივანიშვილის სასარგებლოდ. ვინ გააკეთა ამის პროვოცირება, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. დიახ, ესენი არიან წინა რეჟიმის აღდგენის მოსურნეები.

გაიდამაკი, როგორც აქამდე ვთქვით, „წყნარად“ იჯდა და იხდიდა სასჯელს. რა მოხდა? რამ აიძულა ხელახლა გახსენებოდა ჩვენების მიცემა? ცხადია, ეს მან გააკეთა დაინტერესებული ძალების ზეწოლით, სულ ახლახან, აპრილის თვეში.

ამ დროს აქ, ჩვენთან, ერთმანეთს ეხეთქება მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი, არის დაძაბულობა. ამ დროს ვიღაცისთვის სუფთავდება პოლიტიკური ველი და ამ ველზე შემოდის ერთადერთი სტრუქტურიზებული პოლიტიკური ძალა, ხოლო ეს, რაც უნდა არ გვინდოდეს, გახლავთ ყოფილი მმართველი ძალა. მათი მოქმედების პირველი ეტაპი კი, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, იქნება რევანშისტული ეტაპი.

კვლავ ბოლოდროინდელ ინციდენტს მოვიშველიებ, რომელიც ვინმე **მუხტარლის** სახელს დაუკავშირდა. ბატონებო, მუხტარლის ინციდენტს ხელი შეუწყო და მშვენივრად იყენებს ჩვენი ხელისუფლების ოპონენტი ძალა მისი სრული დისკრედიტაციისთვის შინ და გარეთ, რადგან ამ ინციდენტის ასეთი სახით წარმოდგენა ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის სისუსტეზე მიუთითებს. ნაციონალები ამ ქვეყნის მტრული ძალები არიან და ხელისუფლების ყველა შეცდომა მათ წისქვილზე ასხამს წყალს, ხოლო აზერბაიჯანის მხრიდან კრინტი არ ისმის. აკვირდებით ამ ფაქტს? არც ოპოზიციური და არც სახელისუფლო ძალები არავითარ რეაგირებას საჯაროდ არ აფიქსირებენ...

საქართველო ყოველთვის იყო რეგიონში წამყვანი ქვეყანა და მიმაჩნია, რომ ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ლიდერის ფუნქცია, რეგიონში სიტუაციების დამბალანსებელი ქვეყანა უნდა გავხდეთ.

წლების განმავლობაში რუსეთში სხვადასხვა წამყვან ჟურნალ-გაზეთებში და საინფორმაციო-ანალიტიკურ სტრუქტურებში, უფრო ადრე სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემებში და დღემდე მიმაჩნია, რომ ქვეყნებს შორის უსაფრთხოების სისტემების ერთობლივი ქმედებებით მოხერხდება უსაფრთხოებისა და თავდაცვის უზრუნველყოფა.

**— მოკლედ, ბატონო დავით, როგორც ბრძანებთ, დიდი კატაკლიზმებია მოსალოდნელი, მაგრამ პრევენციისთვის რას გვთავაზობთ, ამაზე არაფერი გითქვამთ.**

— გმადლობთ ამ შეკითხვისთვის. მოგახსენებთ, რომ სიტუაციის დაძაბვა ყოველდღე ხდება. ხვალ უფრო მძიმე ვითარებას უნდა ველოდეთ, მაგრამ, ჩემი და ჩემი უცხოელი თანამოაზრების ანალიზის შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილი უპირობოდ უნდა დაბრუნდეს პოლიტიკაში და უნდა დაიწყოს, თუნდაც პირველ ეტაპზე, საკადრო ცვლილებები. ის უნდა დაბრუნდეს, ჩემი აზრით, პრეზიდენტის რანგში. ეს გახდება არა მხოლოდ ერთგვარი იმუნიტეტი მისთვის, არამედ საქართველოს გადარჩენის ექსტრემალური პერსპექტივა.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

## ჯუმბერ პატიაშვილი:

# თუ წარსულს მიუკერძოებლად არ შეაფასებ, ვერც აწმყოს ააშენებ და ვერც მომავალს დაგეგმავ



საბედნიეროდ, საქართველოს ყოველთვის ყავდა ნამდვილი პატრიოტები, რომლებიც უამრავი წინააღმდეგობის მიუხედავად, ნებისმიერ ეპოქაში ახერხებდნენ ქართული საქმის კეთებას. ამისი მაგალითი ის კომუნისტი მაღალჩინოსნებიც არიან, რომელთა დამსახურებითაც გახდა პატარა საქართველო უზარმაზარი საბჭოეთის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რესპუბლიკა.

დღევანდელი ნომრის სტუმარია საქართველოს კომპარტიის ცეკას ყოფილი პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი, რომლის მოღვაწეობის დროსაც ძალიან ბევრი მამულიშვილური საქმე გაკეთდა საქართველოში.



სწორედ მისი უშუალო დამსახურებაა საქართველოს საზღვრისპირა რეგიონში, კერძოდ, ქვემო ქართლში, სადაც ქართველები ლამის უმცირესობას წარმოადგენდნენ, სვანი ეკომიგრანტების განსახლება და დემოგრაფიული ბალანსის მეტ-ნაკლებად აღდგენა. კურიოზი ისაა, რომ „უმრავლესობით“ არჩეულმა პრეზიდენტმა შევარდნაძემ, რომლის მთავარი კონკურენტიც ამ არჩევნებში ჯუმბერ პატიაშვილი იყო, ამ უკანასკნელის მიერ გატარებული ხსენებული პატრიოტული ღონისძიება, დანაშაულად შეაფასა და ზოგიერთი მაამებელიც დაეთანხმა. წინამდებარე სტატიის მომზადების დროს, ჩემი ახლობლის წინანდელი მონაყოლი გამახსენდა, ქვემო ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს ვურჩიე, არჩევნებში ხმა ჯუმბერ პატიაშვილისთვის მიეცათ, ღირსეული კანდიდატურაა-თქო, მიპასუხეს, მაგას მხარს როგორ დავუჭერთ, როცა ამდენი სვანები ჩამოგვისახლაო. მაშინ ვთქვი და დღესაც ვფიქრობ, რომ ამაზე უკეთესად ვერავინ შეაფასებდა ბატონი ჯუმბერის პერსონას. ქართული მიწის უცხოელებზე გასხვისების საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რესპოდენტთან საუბარი ამ თემით დავიწყეთ. მისი განცხადებით, მართლაც საგანგაშო ვითარებაა შექმნილი, მაგრამ ეს პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო, რაშიც ლომის წილი წინა ხელისუფლებებს მიუძღვით.

**ჯუმბერ პატიაშვილი:** „გადავხედოთ, წლების წინ მიღებულ სამთავრობო თუ საპარლამენტო დადგენილებებს და ნორმატიულ აქტებს, აშკარად იკვეთება, რომ მაშინდელი შემოგდებულია ქართული მიწების გასხვისების თემა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, როგორ დამახინჯებულად ჩატარდა სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია, ეს იყო დამანგრეველი პროცესი, რომელმაც ქართველ ხალხს, სამომავლოდ ყოველგვარი პერსპექტივა დაუკარგა. ასეთი მასობრივი პრივატიზაცია ღიად, გამჭვირვალედ უნდა ჩატარებულიყო, იმ ადამიანებს უნდა მინიჭებოდათ უპირატესობა, რომლებმაც მთელი ცხოვრება შესწირეს წარმოებებს, დაწესებულება-ორგანიზაციებსა და ა.შ. ისე გაიყიდა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა თუ სხვა საწარმოები, რომ მათ შემქმნელებს, ფაქტობრივად არაფერი მიუღიათ. გავიხსენოთ ე.წ. კუპონიზაცია, როცა კუპონი ჯერ ერთი ერთზე გაცვალეს რუსულ რუბლთან თუმცა მალევე ისე გააუფასურეს ეროვნული ფული, რომ ყველანი „მილიონერებად“ ვიქეცით. რეალურად რა მოხდა მაშინ, დღემდე არ ვიცით, რადგან ობიექტურად არ შეფასებულა ეს ყველაფერი.

ახლაც თუ რაიმე უარყოფითი ხდება, პირდაპირ უკავშირდება წლების განმავლობაში მომხდარი მოვლენების სახელმწიფო დონეზე შეუფასებლობას. რაღაც შეიძლება შეფასდა კიდეც, მაგრამ ეს შეფასება მიკერძოებულია, რადგან ხელისუფლებების კარნახითაა გაკეთებული. მე ყველაფრის მცოდნეობაზე არ მაქვს პრეტენზია, მაგრამ რაც ვიცი, სამწუხაროდ, იმის თქმისგანაც თავის შეკავება მიწევს, რადგან საზოგადოების ნაწილზე ძალიან მტკივნეულად მოქმედებს. უამრავი დაპირება იყო, რაც არ შესრულებულა, მაგრამ პასუხი არ უგიათ ხელისუფლებებს, ამას ვინ ჩივის, როცა შეფასებაც კი არ მომხდარა. 9 აპრილს საქართველოში დატრიალებული ტრაგედია შევაფასეთ მიუკერძოებლად? თქვენი კოლეგები რომ ამბობენ, პატიაშვილმა პასუხი არ აგოო, რაზე უნდა მაგებინონ, როცა წინასწარ ვაფრთხილებდი ყველას მოსალოდნელი შედეგის შესახებ. სხვათა შორის, დღევანდელი გადასახედიდან სულ სხვა სურათი წარმოჩინდა, მაშინ მე ბევრი რამ არ ვიცოდი, ეს არ მამართლებს, მაგრამ ამხელა აქციის ორგანიზატორი რომ ხარ და გაფრთხილებას არ ისმენ, პატრირქის თხოვნასაც არაფრად აგდებ, საწინააღმდეგოდ იქცევი და თან ამბობ, სისხლი უნდა დაიღვაროსო, ეს რას ნიშნავს? სისხლი კი დაიღვარა, მაგრამ მიტინგის არცერთი ორგანიზატორი არ დაზარალებულა, ბევრი დარბევის დაწყებამდე გაიქცა, მიატოვა ხალხი, რომელიც ენდო მათ განცხადებას, რომ არაფერი მოხდებოდა. დარბევას უდანაშაულო ხალხი, ძირითადად უმწეო ქალბატონები და პატარა გოგონები შეეწირნენ, რომელთა ოჯახებს დღესაც ვუცხადებ თანაგრძნობას. ხალხი შეცდომაში არ უნდა შეიყვანო და მერე ვითარება უკიდურესად რომ დაიძაბება, არ უნდა მიატოვო. ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი თურმე მერე ამბობდა, სამხედრო რომ არ დამხმარებოდა, მეც მოვყვებოდი დარბევაშიო. მე ჩემი წილი პასუხისმგებლობა მეკუთვნის, რაზეც უარს არ ვამბობ, მაგრამ ვინც შეკრიბა ეს ხალხი და მერე მიატოვა, არცერთს პასუხი არ უგია. იმას რომ ამბობენ, რატომ არ ჩავიდა პატიაშვილი მომიტინგეებთანო, ამათ პატრიარქს არ დაუჯერეს და ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუსმენდნენ? სხვათა შორის, ვაპირებდით ხალხთან ჩასვლას და დალაპარაკებას, მაგრამ ორგანიზატორებმა განაცხადეს, საქართველოს მთავრობასთან არაფერი გვაქვს დასალაპარაკებელი, ჩვენ მხოლოდ კრემლს დაველაპარაკებითო. რეჟისორ რეზო ჩხეიძეს პირდაპირ უთხრეს, რომ კატეგორიული წინააღმდეგები იყვნენ ჩემთან მოლაპარაკების, კრემლის წარმომადგენელი ჩამოვიდეს მოლაპარაკებაზეო. მანამდე რამდენჯერმე ვესაუბრე მიტინგის ზოგიერთ ორგანიზატორს, შევთანხმდით კიდეც, რომ დაიშლებოდა მიტინგი, მაგრამ მოკლე ხანში პოზიცია ცვლიდნენ, ბოლოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის და ნატოს ჯარების შემოყვანის მოთხოვნა დააყენეს. ეს ყველაფერი ტელევიზიით გადაიცემოდა და ჩემთვის დღემდე აუხსნელია, რატომ არ გაუჩნდა ჩვენს ხალხს ლოგიკური კითხვები, რატომ ამბობდნენ არაფორმალები, როგორც მათ მაშინ უწოდებდნენ, რესპუბლიკის უმაღლეს ხელმძღვანელთან შეხვედრაზე უარს და რატომ ითხოვდნენ კრემლის წარმომადგენელთან შეხვედრას, როცა მათივე ლოზუნგებით თუ ვიმსჯელებთ კრემლს ებრძოდნენ, ან როგორ შეიძლებოდა კრემლს დაეკმაყოფილებინა მათი ლიდერების მოთხოვნა – საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ. ვინ ეგულებოდათ კრემლში ისეთი, ვინც მათ მოთხოვნას მხარს დაუჭერდა? თუ ასეთი მართლაც არსებობდა, მაშინ გამოდის, რომ ამ ყველაფერს, რასაც ქართველი ერის დიდ პროტესტად ასაღებდნენ, უჩინარი „რეჟისორი“ სწორედ კრემლში ჰყავდა და პროცესები იქიდან იმართებოდა“.

როდესაც რაიმე დანაშაული ხდება და მის „შემოქმედთა“ ვინაობა ცნობილი არ არის, ოპერატიული და საგამოძიებო სამსახურები პირველ რიგში იმას იკვლევენ, ვინ იყო დაინტერესებული და ვინ ისარგებლებდა შედეგით. ამ ვერსიას რომ მივყვეთ, 9 აპრილის ტრაგედიით ჯუმბერ პატიაშვილს ნამდვილად არ უსარგებლია, სულ სხვა ადამიანები აღზევდნენ და მოვიდნენ ქვეყნის სათავეში. მისთვის როგორც კი ცნობილი გახდა პირველი მსხვერპლის შესახებ, თანამდებობიდან გადადგა და მის ადგილზე საქართველოს ყოფილი პირველი პირის, იმჟამად საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის შევარდნაძის პროტეჟე, საქართველოს „კაგებეს“ შეფი გივი გუმბარიძე დაინიშნა. როგორ გახდა თავის დროზე საქართველოს უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი ეს არაფრით გამორჩეული, ფაქტობრივად ყველასთვის უცნობი, ენაკვიმატი ქართველებისგან მიერ „მამადუდ“ მონათლული გუმბარიძე რომელმაც ამ თანამდებობაზე გამოცდილი პროფესიონალი, გენერალ-პოლკოვნიკი ალექსი ინაური ჩაანაცვლა, ცალკე თემაა. სანამ ცეკას პირველ მდივნად წამოასკუპებდნენ, გივი გუმბარიძისთვის არავის უკითხავს, სად იყავით ამხანაგო გენერალო თქვენ და თქვენი უწყება, რატომ არაფერი მოიმოქმედეთ ტრაგედიის თავიდან ასაცილებლადო. საზოგადოებას არც ის დავიწყებია, როგორ გულიანად ხარხარებდნენ ტრაგედიიდან ორი თუ სამი დღის შემდეგ, მოსკოვიდან „დაძაბულო-



ბის განსამუხტად“ ჩამოსული შევარდნაძე და გუმბარიძე რუსთაველ მეტალურგებთან შეხვედრის დროს. დღემდე არ ვიცით რატომ და ვისი დავალებით მოხსნეს ქართული მილიციის კორდონი მთავრობის სახლთან დარბევის წინ და პირისპირ შეატოვეს მომიტინგეები მიტინგის დასაშლელად ჩამოყვანილ სამხედროებს. ქართველი სამართალდამცავები მაშინ კერძო საუბარში იმასაც ამბობდნენ, რომ ამიერკავკასიის ჯარების სარდალმა როდიონოვმა, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ ოპერაციას, ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენა შს მაშინდელ მინისტრს შოთა გორგოძეს, ყველაფერი თქვენი ბრალია, მილიციის რაზმები რომ განოგეყვანათ, ეს ტრაგედია არ მოხდებოდაო. ამ ფაქტს ჯუმბერ პატიაშვილიც ადასტურებს. სხვათა შორის, მაშინ ხალხი იმასაც ამბობდა, ალექსი ინაური რომ ყოფილიყო საქართველოს „კაგებეს“ ხელმძღვანელი, ეს უბედურება არ მოხდებოდაო. გენერალი ინაური 1988 წელს „საკუთარი სურვილით“ გადამდგარა თანამდებობიდან, თუმცა მისი ჩამოცილების „ღონისძიებები“ გაცილებით ადრე, შევარდნაძის მოსკოვში „გადაპორტირების“ შემდეგ დაიწყო. ჯუმბერ პატიაშვილი თავის წიგნში „ოცდასამი წლის შემდეგ“ წერს, რომ ინაურის პერსონას „კაგებეშნიკად“ არასდროს განხილავდა, ის თავისი მენტალიტეტით პირველ რიგში ქართველი იყო, წესიერი, პატიოსანი ადამიანი, ყველა იმ დადებით თვისების მატარებელი, რაც ქართველ კაცს უნდა ჰქონდეს. როდესაც რესპუბლიკის ხელმძღვანელი გავხდი, ერთადერთი საიმედო და ახლობელი ადამიანი უშიშროების სისტემაში მხოლოდ ინაური იყო. იქნებ საფრთხეც პირველად მაშინ უნდა მეგუმანა, როცა მის ჩამოცილებას შეეცადნენო.

1988 წლის ნოემბრის აქციების დროს, თბილისს სუკის თავმჯდომარის მოადგილე პონომარიოვი ესტუმრა, მას რესპუბლიკის ხელმძღვანელისთვის შეხვედრამდე ნახევარი საათით ადრე ტელეფონით ფრიად კმაყოფილს უცნობებია, ინაურმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერაო. რაც შეეხება თავად ინაურს, მან თურმე გაოცებული პატიაშვილს მხოლოდ ერთი წინადადებით უპასუხა – ასე იყო საჭირო! კვლავ აქტუალური გამხდარა გუმბარიძის კანდიდატურა, რომელსაც იმ პერიოდში თბილისის ქალაქკომის პირველი მდივნის თანამდებობა ეკავა. გასაოცარი ისაა, რომ ყოვლისმცოდნე „კაგებეს“ შეფი კრიუჩკოვი თურმე პატიაშვილს ეკითხებოდა, რა ჩინი აქვს გუმბარიძესო.

**ჯუმბერ პატიაშვილი:** „ამ კითხვის ადრესატი მე ნამდვილად არ უნდა ვყოფილიყავი, ხოლო ის ფაქტი, რომ გუმბარიძის ჩინის შესახებ არც კრიუჩკოვმა იცოდა, ნათელს ხდიდა, რომ გუმბარიძეს პროტექცია იმ დონეზე გაუწიეს, სადაც დამატებით კითხვებს აღარ სვამენ. ასე გახდა გუმბარიძე ნოემბრის აქციების შემდეგ საქართველოს უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი, ხოლო 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, რესპუბლიკის ცეკას პირველი მდივანი. თავის დროზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაწუნებული ლორთქიფანიძე კი, 9 აპრილიდან ოთხ თვეში სწორედ საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნეს“.

მაღალჩინოსანი კომუნისტი ფუნქციონერი ბობკოვი თავის მემუარების წიგნში „როგორ ამხადებდნენ მოღალატეებს“, 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით წერს, რომ შეფასებები აბსოლუტურად გამოგონილი საფუძველზე კეთდებოდა. თბილისის ტრაგედია, რომელსაც 16 ადამიანი ემსხვერპლა, იმათ მიერ კი არ ყოფილა პროვოცირებული, ვინც შემდგომ დაადანაშაულეს, მათ მოაწყეს, ვინც მერე დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდა და ძალებმა, რომლებსაც პატიაშვილის ცენტრთან დაპირისპირება სურდათ. მათ შექმნეს ვერსია, რომ აქციაზე ხალხის დაღუპვა ჯარისკაცების მიერ ნიჩბების დარტყმამ გამოიწვია. შევარდნაძე თბილისში დაგვიანებით ჩაფრინდა და ამ ხაზის გატარება დაიწყო. სინამდვილეში ნიჩბისგან ერთი ადამიანიც არ დაღუპულა, დაჭრილიც კი არ ყოფილა ვინმე, ყველა ბრბოში ჭყლეტის შედეგადად გარდაიცვალა. როცა შევარდნაძემ გამოსვლისას ნიჩბები ახსენა, ჭყლეტის დროს გადაღებული ფილმი ვაჩვენეთ, სადაც ჩანდა რა ხდებოდა მოედანზე, არანაირი ნიჩბებისგან დაღუპულები იქ არ ყოფილან. მიუხედავად ამისა, მაინც ნიჩბების ვერსიას დაუჭირეს მხარი და ეს ვერსია საკავშირო ყრილობამდეც მივიდა. ერთადერთი გენერალი როდიონოვი ამტკიცებდა, ასე არ ყოფილაო. ჩვენ ამ ვერსიას ვერც დავადასტურებთ და ვერც უარვყოფთ, ეს სრულყოფილი და მიუკერძოებელი გამოძიების კომპეტენციაა, უბრალოდ იმ ასე ვთქვათ, ჭორ-მართალს გავიხსენებთ, რომელიც მაშინ ვრცელდებოდა. მოარული ხმების მიხედვით, რუსთაველის გამზირის გასაწმენდად თავიდან ჩვეულებრივი ჯარისკაცები, 19-20 წლის ბიჭები გამოიყვანეს, რომლებსაც მხოლოდ ფარები და ხელკეტები ჰქონდათ, რომლებსაც აქციის ზოგიერთი მონაწილე სასტიკად გაუსწორდა. მხოლოდ ამის შემდეგ ჩაერთო ოპერაციაში სპეცრაზმი და მხუთავი გაზიც მაშინ გაუშვეს. ათეულობით დაშავებული ჯარისკაცი რომ საავადმყოფოში მოხვდა, რომელთა შორისაც ერთი უმძიმეს მდგომარეობაში იყო, ეს მაშინაც ღიად ითქვა და ჯუმბერ პატიაშვილიც ადასტურებს თავის მოგონებებში.

**ჯუმბერ პატიაშვილი:** „ერთ ჯარისკაცს ლურსმნებჩარჭობილი ფიცარი მოხვდა არტერიაში და კლინიკური სიკვდილი ჰქონდა, ძლივს გადაარჩინეს. სწორედ ამის გამო როდიონოვმა თავდაცვის მინისტრ იაზოვისგან სასტიკი საყვედური მიიღო, რატომ გადაარჩინეთ, დაე, მომკვდარიყო ის ერთი ჯარისკაცი, სამაგიეროდ, საბაბი მოგვეცემოდა, რომ სამაგალითოდ დაგვესაჯა მომიტინგეებიო. ე.წ. ეროვნული ლიდერებისგანაც გამოვიდა ხმა, რომ ზოგიერთები წუხდნენ, გენოციდის აღიარებისთვის საკმარისი რაოდენობის მსხვერპლით რომ არ დასრულდა 9 აპრილის ტრაგედია“.







კიდევ ერთი ძალიან საინტერესო დეტალი, ოღონდ მაშინდელი აქციის ერთ-ერთი მონაწილის მწერალ დათო ტურაშვილის ისტორიული რომანიდან „იყო და არა იყო რა“: „პატრიარქმა მოგვიწოდა, ქაშუეთში ჩავსულიყავით და იქ გველოცა, რასაც მაშინვე მოჰყვა უარყოფითი რეაქცია და ხალხმა დაიჩოქა, ხმამაღლა თქვა „მამაო ჩვენო“ და ანთებული სანთლების სიჩუმე ირაკლი წერეთელმა ომახიანად დაარღვია. აშკარა იყო, რომ ტექნიკა და ჯარი მოედნის მხრიდან ჩვენკენ დაიძვრებოდა, მაგრამ ისიც აშკარა იყო, რომ ჩვენ ვეღარ დავიშლებოდით და მივხვდი, შეტაკება გარდაუვალი იქნებოდა. ჟერ კიდევ წინა საღამოს (ტანკებმა რომ შესაშინებლად ჩაიარეს), ყოველშემთხვევისთვის, ორასამდე რკინის მილი (რაღა დასამალია და) ბიჭებთან ერთად ქაშუეთის ეზოში გადავმალეთ, შეტაკებამდე აღარაფერი იყო დარჩენილი და ყველა გავაფრთხილე, რომ საჭიროების შემთხვევაში შეგვეძლო რკინების გამოყენება“.

საინტერესოა მოსკოველი ფოტორეპორტიორის იური როსტის ინტერვიუ, რომლის მიერ გადაღებული ფოტომასალითაც შეექმნა წარმოდგენა მსოფლიოს 9 აპრილის ტრაგედიაზე. მისი განცხადებით, თბილისიდან 8 აპრილს დაუკავშირდნენ მეგობრები, სასწრაფოდ ჩამოდი, ამაღამ აქ დიდი ამბები მოხდება და საოცარი კადრების გადაღებას შეძლებო, ამიტომ ბოლო რეისით ჩავფრინდი თბილისშიო.

**ჯუმბერ პატიაშვილი:** „საოცარია, ამას ამბობს საქართველოდან ინფორმირებული ფოტორეპორტიორი, მაშინ, როცა რესპუბლიკის პირველი პირი, ჩემს ხელთ არსებული ყველა ინფორმაციით, დარწმუნებული ვარ, რომ მოედანს მომიტინგეებისგან ისე გაათავისუფლებენ, არათუ ვინმეს სიცოცხლეს, თმის ღერს არ შეექმნება საშიშროება. 8 აპრილის დილას ოთხასკაციანი დარბაზი, სადაც წინა დღეს პარტაქტივის კრება ჩატარდა, კვლავ გაჭედილი იყო ხალხით, 8 აპრილს განხილულ აუცილებელ ღონისძიებათა ნუსხას ვამტკიცებდით. ერთ-ერთ პუნქტად არასანქცირებული მიტინგის ორგანიზატორთა იზოლირება იყო, რაც დაპატიმრებას გულისხმობდა. ამ წინადადებას ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი, უფრო მეტიც ტაშისკვრით შეხვდნენ. შწორედ მაშინ თქვა ჯანსუღ ჩარკვიანმა – ახლა ყველა ტაშს უკრავთ ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ მოვა დრო და პასუხს მხოლოდ ამათ მოსთხოვთო და ხელი ჩვენსკენ გამოიშვირა. კრება ჯერ არ დასრულებულიყო, რომ აქციის ორგანიზატორემა უკვე იცოდნენ ამ გადაწყვეტილების შესახებ და როგორც მოსალოდნელი იყო, სასწრაფოდ დატოვეს მიტინგი. აქტივის დასრულების შემდეგ მოსკოვიდან მოულოდნელად დამირეკა რაზუმოვსკიმ, კრემლი კატეგორიული წინააღმდეგია, აქციის ორგანიზატორების დაპატიმრების უფლებას არ გაძლევთო. ტრაგედიის შემდეგ მეცნიერებათა აკადემიაში შეხვედრისას განცხადება გავაკეთე – დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, გავა წლები და თუ ამ ყველაფერს, რაც მოხდა ობიექტურ შეფასებას არ მივცემთ, თუ ინტელიგენციამ არ წარმოიდგინა და რეალურად არ შეაფასა ის საშიშროება, რაც მოგველის. ჩვენ კიდევ უფრო დიდი დილემის წინაშე აღმოვჩნდებით. 9 აპრილის ტრაგედიას არ ვაკნინებ, ის უდიდესი, საუკუნის ტრაგედიაა, მაგრამ თავს ნუ დავიმშვიდებთ იმით, რომ ამაზე დიდი ტრაგედია რაღა უნდა მოგველოდეს-თქო. სამწუხაროდ, ყურად არ იღეს ჩემი სიტყვები და შემდგომში უარესი ტრაგედიების მოწმენი გავხდით, მაგრამ არც ისინი შეუსწავლიათ, თუნდაც ის, რატომ მოხდა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ომი. აფხაზებთან და ოსებთან ისტორიულად გვქონდა პრობლემები, დაწყნარებული ვითარება არც ადრე ყოფილა, მაგრამ ასეთი დაძაბული ურთიერთობები, როგორიც 21-ე საუკუნეში გვაქვს, არასდროს ყოფილა“.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

(გაგრძელება იქნება)

# უნდა ასრულებდეს თუ არა გიორგი მარგველაშვილი საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას იმ საქციელის შემდეგაც, რომელიც ლამის სამშობლოს ღალატს უდრის?

## საგანგებო მიმართვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძეს



**ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ!**

სწორედ თქვენი განცხადების წყალობით გასულ პარასკევს, 2017 წლის 9 ივნისს, ქართველმა საზოგადოებამ შეიტყო **საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის მიერ საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პროექტის შესახებ ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გამჟღავნების აღმაშფოთებელი ფაქტი.**

როგორც თქვენ აღნიშნეთ, ვენეციის კომისიის პრეზიდენტი **ჯანი ბუკიკიო**



"უმაღლეს დონეზე გამჟავნების ამ ფაქტით ძალზე შეშფოთებულია", რადგან დოკუმენტი, რომელიც საქართველოში საკონსტიტუციო რეფორმას ეხება, წინასწარი ხასიათისაა, ამიტომ ვენეციის კომისიის დაჟინებული თხოვნა იყო, ის არ გახმაურებულიყო.

**მიუხედავად ამისა, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საიდუმლო დოკუმენტის შინაარსი თავის დიდი ხნის ახლო მეგობარს გიგა ბოკერიას გაუზიარა, რომელიც- პრეზიდენტ სააკაშვილის რეჟიმის დროს უშიშროების საბჭოს მდივანი და მაშინდელი მმართველი პარტიის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აღიარებული იდეოლოგი გახლდათ.**

ხაზი გავუსვათ, რომ დღეს ბოკერია, დღევანდელი ხელისუფლების წყალობით, არა გლდანის მე-8 დაწესებულების ტუსაღი, არამედ პარლამენტარი და სააკაშვილის "ნაცმოძრაობისაგან" დაკვირტული პარტია **"ევროპული საქართველოს"** ლიდერია, რომელიც "ნაცმოძრაობის" კადრებისა და ელექტორატის ბაზაზე შეიქმნა; რომ ორივე ზემოთ მითითებული პარტია, "გაყრის" მიუხედავად, საქართველოს პარლამენტში დეპუტატთა უცვლელი რაოდენობითაა წარმოდგენილი და მმართველი პარტია **"ქართული ოცნებისაგან"** საპარლამეტო უმრავლესობის შეურიგებელ ოპოზიციას წარმოადგენს.

**ამგვარად გაჟონა ინფორმაციამ მედიაჰოლდინგ "ტაბულაში", რომლის ხელმძღვანელი გიგა ბოკერიას მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი გახლავთ. "ტაბულამ", როგორც თქვენ, ბატონო ირაკლი, აღნიშნეთ, ვენეციის კომისიის წინასწარი რეკომენდაციების „სიტყვასიტყვით ციტირებული კონკრეტული ჩანაწერები" გამოაქვეყნა.**

**ბატონო ირაკლი!**

როგორ მიგაჩნიათ – **უნდა ასრულებდეს თუ არა გიორგი მარგველაშვილი საქართველოს პრეზიდენტის და მისი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოვალეობებს თავისი ანტისახელმწიფოებრივი საქციელის შემდეგაც, რომელიც ლამის სამშობლოს ღალატს უდრის? მაშ, სხვა რა ვუწოდოთ მის მიერ შეგნებულად ორგანიზებულ სუპერმნიშვნელოვანი კომფიდენციალური სახელმწიფო ინფორმაციის გაჟონვას?!**

როგორ მიგაჩნიათ – **განა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა თავისი მოქმედებით ზიანი არ მიაყენა საკონსტიტუციო რეფორმას საქართველოში? განა ის დღეს სახელმწიფო უშიშროებისთვის სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენს?**

ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ!

ქართული საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **"საქინფორმი"** **დაბეჯითებით გთხოვთ, მიიღოთ ამ შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ყველა ზომა, საქართველოში დროებითი საგანგებო მმართველობის შემოღების ჩათვლით. ახლა მთავარია, პრეზიდენტ მარგველაშვილს, პრეზიდენტის ადმინისტრაციას, პრეზიდენტთან არსებულ უშიშროების საბჭოს, აგრეთვე მის მეგობრებსა და პოლიტიკურ თანამოაზრეებს, რომლებიც საქართველოში თითქმის ყველა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიას ხელმძღვანელობენ – სრულიად საიდუმლო სახელმწიფო ინფორმაციასთან დაშვება გადაეკეტოთ!**

პატივისცემით,

**არნო ხიდირბეგიშვილი**
**„საქინფორმის" მთავარი რედაქტორი**

# ის, რაც ბერა ივანიშვილმა გააკეთა, სამოქალაქო გმირობაა!



სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება რეპერების — ქებურიასა და მგალობლიშვილის გირაოთი გათავისუფლების შესახებ, ზოგმა ბერა ივანიშვილის სოციალურ ქსელში გავრცელებულ რეპლიკას დაუკავშირა და მასში არაფორმალური მმართველობის გამოძახილი დაინახა.

თუმცა, საკითხავია, რა შუაშია აქ არაფორმალური მმართველობა, როცა ბერა ივანიშვილმა მხოლოდ თავისი პოზიცია გამოხატა და მეტი არაფერი — მას არავინ დაუდანაშაულებია, არავისთვის მოუწოდებია, დაკავებულები გაეთავისუფლებინათ, არ უთქვამს, რომ რეპერებს ვიღაცამ ნარკოტიკები ჩაუდო, არ მოუთხოვია, დამნაშავეები უნდა დაისაჯოსო და ა.შ.

იმის შიშით, რომ ვიღაცამ რაღაცა არ დააბრალოს, ბერა ივანიშვილს, როგორც მოქალაქეს, უფლება არ აქვს, ამა თუ იმ ფაქტზე თავისი განწყობა და მოსაზრება გამოხატოს?

დავუშვათ და ამ პროცესებიდან ბერა ივანიშვილი საერთოდ გამდგარიყო განზე და არაფერი ეთქვა, ეს უფრო სწორი იქნებოდა, თუ ის უფრო სწორია, რაც მან მოიმოქმედა?

ბერა ივანიშვილის საქციელი, ვფიქრობთ, მისი მხრიდან სწორედ რომ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მაჩვენებლია.

უფრო მეტიც, ეს ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ საქართველოში არავითარი ფორმალური მმართველობა არ არსებობს, რადგან, ასეთ რამეს რომ ჰქონდეს ადგილი, რეპერების დაკავების გადაწყვეტილება, „არაფორმალურ მმართველთან" ადრევე იქნებოდა შეთანხმებული და, ცხადია, არც ბერა ივანიშვილისთვის იქნებოდა ეს ამბავი უცნობი და დამალული.

**ბერა ივანიშვილის ეს ნაბიჯი ერთგვარი მესიჯია ყველასთვის — ბერა ივანიშვილმაც, თავად ბატონმა ბიძინა ივანიშვილმაც და იმ ადამიანებმა, რომლებიც უშუალოდ არ არიან პოლიტიკაში ჩართული, მაგრამ აქვთ ხალხის დიდი ნდობა და ავტორიტეტი, მყისიერად, ოპერატიულად უნდა ამოიღონ ხმა, როცა არსებობს ეჭვი, რომ ქვეყანაში რაღაც ისე არ ხდება, როგორც საჭიროა.**

აქვე ისიც უნდა დავამატოთ, რომ ის სიყვარული და პატივისცემა, რითაც ბერა ივანიშვილი საზოგადოებაში სარგებლობს, სულაც არ არის მხოლოდ და მხოლოდ იმაზე დამყარებული, რომ ის ბიძინა ივანიშვილის ვაჟია.

დიახ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ახალგაზრდა კაცმა, კოლოსალურად დიდი შრომა და ენერგია ჩადო „ნაციონალური მოძრაობის" დამარცხებაში და, აქედან გამომდინარე, არ შეიძლება მისთვის სულ ერთი იყოს, რა ხდება იმ ქვეყანაში, რომლის ხელისუფლებასაც დღეს „ქართული ოცნება" წარმოადგენს.

**თუ ამ ხელისუფლების რომელიმე შტოს, ან ვინმეს პერსონალურად, რაღაც შეეშლება, დარწმუნებული ვართ, ბერა ივანიშვილიც და ზოგადად, ივანიშვილების ოჯახი, კვლავ იგივეს იტყვის, რაც ბერამ თქვა: ჩვენ თქვენს გვერდით ვდგავართ, ქართველო ხალხო!**

რაც შეეხება იმ ყმაწვილებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ დიდი არაფერი დაუშავებიათ, თუ პოლიცია გააშარჟეს და გაამასხარავეს, გვინდა ხაზგასმით და კატეგორიულად ვუთხრათ: ნუ აჰყვებით რევანშისთვის განწყობილი პოლიტიკური ძალების პროვოკაციას და თქვენი მოქმედებით, გნებავთ, თქვენი შემოქმედებით, მათ წისქვილზე ნუ დაასხამთ წყალს.

ამ ახალგაზრდების მისამართით ახლა მხოლოდ ამის თქმით დავკმაყოფილდებით, თემის გარშემო ვრცელ საუბარს კი „საერთო გაზეთის" მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

დაბოლოს, რაც ბერა ივანიშვილმა გააკეთა, ეს სამოქალაქო გმირობაა და ნურავინ შეეცდება ამ გმირობის გაბიაბრუებასა და გაფერმკრთალებას.

**„საერთო გაზეთი"**



# ადამიანი – „მორბენალი სტრიქონი“, სახელად ნიკა გვარამია

17 წლის „პატრიოტმა“ როგორც ჩანს ვერ გარისკა და თავისი სოხუმი არ დაიცვა. მერე რა, რომ მისი ტოლები, მტერს ეწირებოდნენ. კიდევ კარგი გაუფრთხილდა თავის „ცისფერ სისხლს“ და არ დაღვარა, თორემ „თავისუფალი სიტყვის“ მესაჭე ვინ გვეყოლებოდა? შემდეგი, გვარამიას, როგორც ამბობენ, მართლა კარგი მამა ჰყავდა. ჰოდა, შვილმა მამას ამაგი იმით დაუფასა, რომ დაკრძალვის დღეს რესტორანში დასკუპტდა როგორც მარინა ბერიძეს უყვარს თქმა – „მთელ




თფილისთან“ ერთად და როცა მარცხი მოუვიდა, როცა „გასმასკული“ „როჟა“ „აახიეს“ აკივლდა – მგლოვიარე კაცს ეს რა მაკადრესო. ხასიათის ამბავია, თორემ ის, რაც ზემოთ წაიკითხეთ, დანაშაული სულაც არაა, დანაშაული რაც ჰქონდა იმისთვის პასუხი რომ არავინ მოსთხოვა, იმიტომაა დღეს თავისუფალი სიტყვის დამცველი „უკანასკნელი მოჰიკანი“.

ოფიციალურ ბიოგრაფიაში, გვარამიას არსად უწერია, ჩვეულებრივი „მორბენალი სტრიქონი“ „კმარელი“ რომ იყო. სააკაშვილის ხელის ბიჭის შრომის წიგნაკში „მშენებლობაზე აგურების თრევა“ არაა მითითებული. სამაგიეროდ ხაზგასმით წერია რომ კლუბ „რა, სად, როდის“ მოაზროვნე იყო, რომ მუშაობდა საადვოკატო ფირმაში და „თელასში“. და, უცებ, გვარამია „რაღაც მანქანებით“ აკეთებს ნახტომს და „რევოლუციურ საქართველოს“ ევლინება ჯერ დეპუტატად, შემდეგ გენპროკურორის მოადგილედ, შემდეგ იუსტიციის მინისტრად და შემდეგ განათლების მინისტრად. 2009 წელს გვარამიამ განაცხადა რომ სწავლის გაგრძელება უნდა და მინისტრის პოსტი დატოვა. რა და სად ისწავლა, ეს კი არაა მთავარი, მთავარი ისაა, რომ გვარამიას ოცნება აუხდა. მან რუსთავი ორში „დასცა კარავი“. ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელის ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ დადგმული სპექტაკლის რეჟისორი და ერთ-ერთი მთავარი „გმირი“ „თავისუფალი სიტყვის“ „მედროშედ მოგვევლინა და უცებ დაივიწყა, როგორ ადანაშაულებ-და წლების წინ პატარკაციშვილს, იმაში, რომ ტელევიზია ვიწრო პარტიული ნიშნით გამოიყენა და თუ ოპოზიციაში ყოფნა პატარკაციშვილისთვის სამშობლოს ღალატის ტოლფასი იყო, თავად დემოკრატიად მონათლა მისი ქმედება – ვიწროპარტიული აზროვნება, ტელევიზიის ნაცების სასარგებლოდ მუშაობა და ოპოზიციაში ყოფნა. და, ვაი, მას ვინც გაბედავდა და გვარამიას წარსულს შეახსენებდა, მას რუსთავი ორის მანქანა (ასკოლკებითურთ, სხვადასხვა ნაციონალური გამოცემები) ერის მოღალატედ, რუსების აგენტებად და კიდევ ვინ იცის რად არ ნათლავდა. და, როცა გვარამია დააკავეს, ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ სრულიად სამართლიანი გადაწყვეტილება, პროკურატურისათვის დამოკლეს მახვილად ექციათ.

არქივიდან: ტელეკომპანია “რუსთავი 2-ის” გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ფინანსური მაქინაციის და საბუთების გაყალბებების ბრალდებით, ფინანსთან სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა 19 დეკემბერს დააკავა. მასთან ერთად დაპატიმრებულები არიან ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური, ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე კახა დამენია, “თელასის” გენერალური დირექტორი დევი კანდელაკი და შპს „ელ ენდ ეფ სერვისის“ დამფუძნებელი გიორგი ნემსიწვერიძე. გამოძიების ოფიციალური განმარტებით, ენერგოკომპანიების „ხრამჰესი-1“, „ხრამჰესი-2“, შპს „მტკვარი ენერგეტიკისა“ და რუსული კომპანია „ინტერ რაოეს“ წარმომადგენელმა ვადიმ მიტიუშინმა ექს- ენერგეტიკის მინისტრ ხეთაგურთან დაიწყო მოლაპარაკება იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა ზემოთხსენებული კომპანიების საგადასახადო შემოწმება და ამგვარად თავი აერიდებინა „ათეულობით მილიონი ლარის ოდენობის“ საბიუჯეტო გადასახადებისათვის. საგამოძებო სამსახურის ოფიციალური განმარტებით, ამ მოლაპარაკებებში ჩაერთო დევი კანდელაკი, რომელმაც ალექსანდრე ხეთაგურს ქრთამის სახით ერთი მილიონი აშშ დოლარი შესთავაზა, სახელმწიფოს მხრიდან საგადასახადო შემოწმების თავიდან აცილების სანაცვლოდ.

გამოძიების ცნობით, ხეთაგური დათანხმდა ამ წინადადებას და შეთავაზებული ქრთამისთვის კანონიერი ხასიათის მიცემის მიზნით ვადიმ მიტიუშინი ნიკა გვარამიასთან გააგზავნა, რომელთანაც ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს წინასწარ ჰქონდა მოლაპარაკება ამ საკითხთან დაკავშირებით. გამოძიების თანახმად, გვარამია დაუკავშირდა მეგობარ გიორგი ნემსიწვერაძეს, რომელსაც საკონსულტაციო კომპანია შპს „ელ ენდ ეფ სერვისის“ შექმნა შესთავაზა იმ განზრახვით, რომ ამ ორგანიზაციის ანგარიშზე, ფიქტიური კონსულტაციის სანაცვლოდ, გადმოირიცხებოდა შეთავაზებული მილიონი აშშ დოლარი, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული, „ინტერ რაოს“ კუთვნილი ენერგოგენერაციის და ენერგოგამანაწილებელი კომპანიებიდან. „ხეთაგურის დავალებითა და გვარამიას ორგანიზებით, კანდელაკთან შეთანხმებით, იმ ვითარებაში, როდესაც არ არსებობდა საჭიროება ასეთი სამუშაოების ჩატარებაზე, გაფორმდა ყალბი ოფიციალური დოკუმენტები, კერძოდ: ხელშეკრულებები საკონსულტაციო მომსახურებაზე „ელ ენდ ეფ სერვისსა“ და „ხრამჰესი-1“, „ხრამჰესი-2“, შპს „მტკვარი ენერგეტიკსა“ და „თელასს“ შორის. გარიგება ძველი რიცხვით გააფორმეს“, – აღნიშნავს გამოძიება. ამავე ინფორმაციით, გადარიცხული თანხა, ლეგალიზების მიზნით, ნიკა გვარამიას გადასცეს. გამოძიების თანახმად, გვარამიამ დახმარება მეგობრებს – კომპანია „გუტიძე, დამენია, ჩანტლაძე სოლუშენი“-ს დამფუძნებლებს კახა დამენიას და იზაბელა გუტიძეს სთხოვა. 2012 წლის აგვისტოში „ელ ენ ეფ სერვისსა“ და კომპანია „გუტიძე, დამენია, ჩანტლაძე სოლუშენ“-ს შორის, ასევე, ხსენებულ ენერგოკომპანიებთან გაფორმდა ფიქტიური ქვეკონტრაქტორი ხელშეკრულებები „საკონსულტაციო და სხვა სამუშაობების ჩატარების შესახებ.“ „მას შემდეგ, რაც გვარამიასთვის ცნობილი გახდა, რომ ამ საკთხით დაინტერესედა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, დამენიას სეიფში მოთავსებული იქნა, თითქოს და „ელ ენ დ ეფ სერვისის“ სალაროს ნაშთი 1 184 950 ლარის ოდენობით, რაც გამოძიების მიერ იქნა ამოღებული“, – აღნიშნულია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში“ გამოძიება ქრთამის აღების, ქრთამის მიცემის, ყალბი საბუთების დამზადების და ცრუ მეწარმეობის ბრალდებით, „ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ რამდენიმე მუხლით მიმდინარეობს“ – და, მიუხედავად ამისა გვარამია გაათავისუფლეს, ის ტელევიზიას დაუბრუნდა და არა ერთგზის გააკეთა მოწოდება სახელმწიფოს გადატრიალების მოთხოვნით. ამ დროსაც გვარამია „თავისუფალ სიტყვას“ ამოეფარა და რათქმა უნდა, გადარჩა.



რა ხდება დღეს“ გავრცელებული ინფორმაციით: დადასტურებული ინფორმაციით ნიკა გვარამიამ გენერალური დირექტორის თანამდებობა ტელევიზიაში გია ყარამანიშვილის მისვლის შემდეგ დატოვა, რის შემდეგაც “რუსთავი 2“-ში საგანგებო თათბირი გაიმართა.

ამ პროცესებს წინ უძღოდა ნიკა გვარამიას და მიხეილ სააკაშვილს შორის გამართული საუბარი. წყაროს თქმით, ნიკა გვარამიასა და მიხეილ სააკაშვილს შორის მწვავე საუბარი შედგა. გვარამიამ სააკაშვილს ულტიმატუმი წაუყენა და ძმებ ყარამანიშვილების მფლობელობაში არსებული “რუსთავი 2“-ის წილის გადაფორმება მოთხოვა. წყაროს ინფორმაციით, გვარამიამ სააკაშვილს შემდეგი შინაარსის ტექსტით მიმართა: „ან მე, ან ყარამანიშვილის წილი გადმომიფორმე, ან საერთოდ გაუშვით ყარამანიშვილები და ტელევიზიას აღარ დაგიშლი...“ – რაზეც მიხეილ სააკაშვილმა უპასუხა რომ, „რუსთავი 2“-ის პრობლემა მისმა რეალურმა პატრონმა ყარამანიშვილებმა უნდა გადაწყვიტონ და იგი ამ საქმეში არ ჩაერეოდა.

ამ საუბრის შემდეგ, გია ყარამანიშვილი “რუსთავი 2“-ში მივიდა და ნიკა გვარამია გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გადააყენა, რამაც ”რუსთავი 2”-ის თანამშრომლების გაღიზიანება და უკმაყოფილება გამოიწვია, ტელევიზიაში სიტუაცია უმართავი გახდა, გია ყარამანიშვილს ფიზიკურად გაუსწორდნენ და “რუსთავი 2”-ის შენობიდან გამოაგდეს.



აი, ეს არის რეალობა! გვარამია ის მასაა, რომელიც წყალში არ იძირება და ამიტომ კაციშვილმა არ იცის სად ამოყოფს თავს, მითუმეტეს, რომ მის ფარს „თავისუფალი სიტყვა“ ჰქვია... ასე, რომ ფრთხილად, ხელისუფლებავ, არავინ იცის ეს ნელმოქმედი ნაღმი რა დროს აგიფეთქდებათ სავარძელქვემოდან...

**P.S.** სტატიის დასასრულს ერთი გამოცანა მინდა გითხრათ: ნიკა გვარამიამ გადააფურთხა - მივდივარ რ2-დანო და შემდეგ ფურთხი ალოკა - აღარ მივდივარო. გამოიცანით ვინ არის ნიკა გვარამია?

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# ძლიერი რეგიონები


წყალტუბო

### შეხვედრა პატრიაქრის ნათლულებთან

საქართველოს ჩოხოსანთა დასის წყალტუბოს სადროშოს წევრები, დღეს, წყალტუბოში მცხოვრებ პატრიარქის ნათლულებს და მათ მშობლებს შეხვდნენ. საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II -ის კურთხევას და ინიციატივას - „სადროშოს წევრებმა წაუკითხონ ბავშვებს გაკვეთილები - სამშობლოთმცოდნეობაზე”, დღეს წყალტუბოს სადროშო შემოუერთდა. შეხვედრას უძღვებოდა სადროშო დასის ხელმძღვანელი წყლტუბოში, ჩოხოსანი - ბადრი პაპავა. თავდაპირველად, პატრიარქის ნათლულები დალოცა მირქმის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა მამა ლუკიანემ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა - კონსტანტინე მამისეიშვილმა ბავშვებს ჩვენ ქვეყნის ხვალინდელი დღე უწოდა და გაერთიანებულ საქართველოში ცხოვრება უსურვა. „მთავრობა და დედა ეკლესია ერთად უნდა იდგეს, რადგან ერიც და ბერიც ჩვენს ქვეყანას ვემსახურებით. მხარს ვუჭერთ თქვენს მიერ წამოწყებულ ყველა ინიციატივას, გიერთდებით და მჯერა, რომ აქ გაკეთებული საქმე, ქვეყნის ხვალიდენლი მომავალია,“ - აღნიშნა წყალტუბოს მუიციპალიტეტის გამგებელმა. საკრებულოს თავმჯომარემ პაატა ახალაძემ კი ასე მიმართა ბავშვებს: „ჩვენს სახლში პატარა ბავშვი რომ შემოვიდოდა ბებიაჩემი აუცილებლად ფეხზე დგებოდა, ჩვენ ერთ ენაზე უნდა ვისაუბროთ. ანთებული გულები თქვენ ხართ ჩემო პატარებო, პატრიარქი ცდილობს ჩვენი გულები ასე დააკავშიროს ერთმანეთთან. თქვენ ჩვენი ქვეყნის შვილები ხართ და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას განიჭებთ პატრიარქის ნათლულობა“. შეხვედრას ესწრებოდა წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი - მამუკა ჩხეტიანი, რომელიც ამ შეხვედრის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. შეხვედრაზე, ჩოხოსანმა ქალბატონმა - მაია მამისეიშვლმა, რომელიც გეგუთის საჯარო სკოლის დირექტორი გახლავთ, ბავშვებს უწმინდესის ბიოგრაფია სხვადასხვა საინტერესო აქტივობებით გააცნო. გაკვეთილის ფორმატი ინტერაქტიული იყო. ბოლოს, პატრიარქის ნათულებმა, ნათლიას წერილები მისწერეს,წერილები უახლოეს დღეებში საპატრიაქოში გაიგზავნება და უწმისდესი პირადად გაეცნობა საკუთარი ნათლულების სურვილებს, მიზნებს და ოცნებებს. პატრიაქრის ნათლულების მშობლებმა და წყალტუბოს სადროშოს წარმომადგენლებმა მორიგი შეხვედრა დაგეგმეს, რომელსაც პატრიარქის ნათლულების გარდა, სხვა ბავშვებიც შემოუერთდებიან.

### გზების რეაბილიტაცია ბაღდათში

მუნიციპალიტეტის სოფლების – პირველი და მეორე ობჩის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. როდინოულთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები ყოველდღიურად მიმდინარეობს. პროექტი 2017 წლის ბოლომდე დასრულდება. რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებით შესაძლებელი გახდა აგრეთვე სოფელ პირველ ობჩაში მთისძირისკენ მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის დაწყებაც.

### დუშეთის კეთილმოწყობის სამსახურის სამუშაოები

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელშეწყობით, ა(ა)იპ „დუშეთის კეთილმოწყობის სამსახურმა“ ქალაქის ცენტრისა და სკვერის ტერიტორიაზე საყვავილე თარგები მოაწყო. დაირგო სეზონური ყვავილები.

გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები დაათვალიერეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა და მისმა პირველმა მოადგილემ ბექა ღარიბაშვილმა.

სულ ახლახან დუშეთის მუნიციპალიტეტის იერსახის, სისუფთავისა და სანიტარიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად „კეთილმოწყობის სამსახურს“ გადაეცა ნარჩენებისთვის განკუთვნილი 140 ახალი კონტეინერი და „მერსედესის“ მარკის ორი სპეციალური ნაგავმზიდი ავტომანქანა, რომლებიც კვირაში ორჯერ მოემსახურება მუნიციპალიტეტის 70-მდე სოფლის იმ მოსახლეობას, რომლებსაც მსგავსი სერვისით არასდროს უსარგებლიათ.


დუშეთი

### ხარაგაულში სასათბურე მეურნეობა ვითარდება

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებმა, ხარაგაულის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, ხარაგაულელ ფერმერებთან შეხვედრა გამართეს.

„მობილური ექსტენციის“ ჯგუფის პროექტის ფარგლებში, მეცნიერ-თანამშრომლებმა სოფელ ისლარში, გიორგი ჭიპაშვილის მწვანე სალათის ფოთლების სასათბურე მეურნეობა დაათვალიერეს და ახალბედა მეურნეს კონსულტაცია გაუწიეს მცენარეთა მავნე დაავადებებისგან დაცვის მეთოდებზე, ქიმიური და ბიოლოგიური წამლების გამოყენებასა და მათგან გამოწვეულ შედეგებზე. სათბურში სასუქის შემრევი სისტემის დამონტაჟების შემდეგ წიწაკის, კიტრის ან პომიდვრის მეურნეობის განვითარებაც შესაძლებელი იქნება.

„მობილური ექსტენციის“ ჯგუფის წარმომადგენლები შეკრებილ ფერმერებსა და მეურნეებს სოფელში მეფუტკრეობის, კენკროვანი კულტურების, ბოსტნეულისა და მევენახეობის განვითარებაზე ესაუბრნენ. მათ მიეწოდათ ასევე ინფორმაცია, თუ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ნიადაგის სტრუქტურის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე რჩევები თანამედროვე კულტურულ მეურნეობებში მავნე დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებსა და პესტიციდების შერჩევაზე.

ექსტენცია ფერმერისთვის ცოდნის, გამოცდილების, თანამედროვე ტექნოლოგიების, ახალი ჯიშების და ახალი მეთოდების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას გულისხმობს. შეხვედრები გაიმართა ასევე მევანახეობის თემებზე ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში, ხოლო კენკროვანი კულტურების შესახებ – სოფელ ხუნევის ადმინისტრაციულ ცენტრში.


ბაღდათი

### გზების მოასფალტება ყვარელში

ქალაქ ყვარელში მიმდინარეობს ქუჩების მოასფალტების პროცესი. ორფენოვანი ასფალტი დაიგო გოგებაშვილის ქუჩაზე, ასევე მოასფალტდა სასაფლაოზე მისასვლელი გზა, დემეტრე თავდადადებულის, ტაბიძისა და პეტრე იბერის სახელობის ქუჩები.

### ამბროლაურის მუნიციპალიტეტში

● ამბროლაურის მუნიციპალიტეტის წესის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მუხლში ასფალტისსაფრიანი გზის მშენებლობა უახლოეს პერიოდში დასრულდება. გზის სიგრძე 1,7 კილომეტრია, ხოლო პროექტის ღირებულება – 443 987 ლარი.

● მუნიციპალიტეტის გამგებელმა მალხაზ ლომთაძემ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე განიხილეს საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობს რაჭის პოტენციალის განვითარებას, კერძოდ: ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, მეღვინეობის, მეფრინველეობისა და მეცხოველეობის დარგების განვითარებას.

### ზუგდიდი – გრიგოლიშის გზაზე ბეტონის საფარი იგება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი ლაშა გოგია მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების დათვალიერებას და მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს.

გრიგოლიშის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი მიმდინარეობს. გზის სიგრძე 620 მეტრია, სიგანე – 6 მეტრი. გზაზე ბეტონის საფარი იგება.

პროექტი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანადაფინანსებით ხორციელდება. მისი ღირებულება 251 251 ლარია.

### ფოთის სპორტული ინფრასტრუქტურა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია დაიწყო, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 100 000 ლარია გამოყოფილი. პირველ ეტაპზე 15 მინი სპორტულ მოედანს კაპიტალური რემონტი ჩაუტარდება,

# ძლიერი საქართველოსთვის


სენაკი

ხოლო არაგვისპირელის ქუჩაზე ახალი მინი სპორტული მოედანი მოეწყობა. პროექტი აგვისტოს ბოლომდე დასრულდება.

ქალაქის მერი ირაკლი კაკულია შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად აკაკის ქუჩაზე მდებარე მინი სპორტულ მოედანზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

### სენაკი – ბავშვთა და რკინიგზის საავადმყოფოების რეაბილიტაცია

სენაკის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ბავშვთა და რკინიგზის საავადმყოფოების სრული რეაბილიტაცია და მატერიალურ-ტექნიკური გადაიარაღება. სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციის პროცესი მათი მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში გადასვლის შემდეგ დაიწყო. საავადმყოფოების საქმიანობიდან მიღებული მოგების რეინვესტირების საფუძველზე წარმოებს დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა. რეაბილიტაციის პროცესი უწყვეტად გაგრძელდება.

სამუშაოები დაათვალიერა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ გამგებლის მოადგილეებთან და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და უახლესი ტექნიკით აღიჭურვა სენაკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ უმნიშვნელოვანესი ფუნქციების განხორციელება.

### ჩხოროწყუ – ლესიჭინეში სკვერი გაიხსნა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელი დათო გოგუა და საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ესებუა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ ლესიჭინეში, №1 საჯარო სკოლის ეზოში სკვერის გახსნას დაესწრნენ.

„შევუნარჩუნოთ სკოლას მწვანე ფერი“ – ასეთი დასახელების პროექტი წარადგინა პროგრამა „მომავლის თაობას“, რომლის ხელშეწყობითაც სკოლის ეზოში კეთილმოეწყო სკვერი: განთავსდა სკამები, სანაგვე ურნები, დაირგო მარადმწვანე მცენარეები.

პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა მიიღეს სკოლის კურსდამთავრებულებმა, მოსწავლეებმა, მშობლებმა და მასწავლებლებმა.

პროგრამის დონორია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), პარტნიორი ორგანიზაციაა ასოციაცია „ათინათი“, ხოლო მხარდამჭერი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

აღნიშნული პროექტი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანადაფინანსებით განხორციელდა.

### საბავშვო ბაღი და კინოთეატრი წალენჯიხელებისთვის

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბესიკ ფარცვანიამ ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში მშენებარე ახალი საბავშვო ბაღისა და ქალაქ წალენჯიხაში კინოთეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

საბავშვო ბაღის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს აგრეთვე სოფელ მიქავაში. ორივე ბაღის მშენებლობა მიმდინარე წელს დასრულდება.

მიქავასა და ჯგალის საბავშვო ბაღების მშენებლობისთვის 773 500 ლარია გამოყოფილი და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

სრული რეაბილიტაცია უტარდება წალენჯიხის კინოთეატრს. ამას წლების განმავლობაში ელოდა ადგილობრივი მოსახლეობა. პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება, რისთვისაც 680 ათასი ლარი დაიხარჯება.

საბავშვო ბაღებისა და კინოთეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 50 ადგილობრივი მუშახელია დასაქმებული.

### ბორჯომის დიდი ხიდის რეაბილიტაცია

ბორჯომში ხიდების რეაბილიტაცია გრძელდება. ამჯერად მასშტაბური სამუშაოები ქალაქის ცენტრში მდებარე ე. წ. დიდ ხიდზე დაიწყო, რომელიც ცენტრალურ მაგისტრალს ქალაქის მთავარ ქუჩებთან აკავშირებს.

პროექტის მიხედვით, დაგეგმილია ხიდის გზის საფარისა და ტროტუარების მოწყობა, ბურჯების, მოაჯირებისა და არსებული მილსადენის შეღებვა-შელესვა.

ამჟამად მიმდინარეობს ტროტუარებისა და სამანქანო გზის დაზიანებული ასფალტობეტონის აფრეზვა, ასევე ბორდიურების დემონტაჟი.

ხიდის იერსახე მნიშვნელოვნად შეიცვლება და ქალაქს ნამდვილად დაამშვენებს.

პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის ერთობლივი დაფინანსებით ხორციელდება და ივლისის ბოლოს დასრულდება. სამუშაოებისთვის 167 193 ლარი გაიხარჯება.

მიმდინარე წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოეწყო 4 საფეხმავლო და აშენდა ერთი ხიდი.

### ახალი საბავშვო მოედანი ბოლნელ პატარებს

ფონდ „ებერჰარდ შიოკის“, საქართველოში გერმანიის საელჩოსა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ქალაქ ბოლნისის ისტორიულ გერმანულ უბანში საბავშვო მოედნის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტი გერმანელი მიგრანტების საქართველოში ჩამოსვლის 200 წლის იუბილეს ეძღვნება.

„მხიარული ქოხი“ – ასე უწოდებს გერმანელი არქიტექტორი იორგ შულცე პროექტს, რომელიც ბოლნისში საბავშვო მოედნისა და მინისაცეკვაო პავილიონის მოწყობას გულისხმობს. სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და, როგორც არქიტექტორი აცხადებს, დაახლოებით სამ კვირაში დასრულდება.

მშენებლობაზე ადგილობრივი ახალგაზრდები არიან დასაქმებული, რომლებსაც გამოცდილი მოქანდაკე ხის დამუშავებასა და შემდგომში მათ სწორად გამოყენებას ასწავლის. პროექტის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატიც.

პროექტის მიმდინარეობას ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით შერაზადიშვილი „ებერჰარდ შიოკის“ წარმომადგენელთან ერთად გაეცნო.

### დმანისის მაღალმთიანი დასახლებების მცხოვრებთა სტატუსი

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა შემაჯამებელი პრეზენტაცია მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ გამგებლის წარმომადგენლები და სპეციალისტები.

განიხილეს განვლილი ერთი წლის პერიოდში შესრულებული სამუშაოები, არსებული პრობლემები, იმსჯელეს მათი გამოსწორების გზებზე.

დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტში 8842 მოქალაქე სარგებლობს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირის სტატუსით.

### თეთრიწყარო – შეხვედრა შიხილოს, სამღერეთისა და გოლთეთის მოსახლეობასთან

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ერეკლე კუხიანიძე სოფ. შიხილოს, სამღერეთისა და გოლთეთის მოსახლეობას შეხვდა. ადგილობრივებმა დაასახელეს პრობლემები, რომელთაAგადაჭრის გზებზე ერეკლე კუხიანიძემ მოსახლეობასთან ერთად იმსჯელა.

ერეკლე კუხიანიძემ მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია გამგებლის სათათბირო ორგანოს – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ. საბჭოს წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ გამგებელს არჩევნების შედეგად თვითონ უნდა წარმოუდგინოს. ეს მექანიზმი ხელს შეუწყობს თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას.

### წალკელ ეკომიგრანტებს საცხოვრებელი სახლები გადაეცათ

კიდევ 100 ეკომიგრანტ ოჯახს წალკის, ლაგოდეხის, თეთრიწყაროს, ახმეტის, სიღნაღის, გორის, ხონისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში საცხოვრებელი სახლები მიწის ნაკვეთთან ერთად საკუთრებაში გადაეცა.

2016 წლიდან დღემდე, საცხოვრებელი სახლი უკვე 443 ეკომიგრანტ ოჯახს დაუკანონდა.

### შუახევის მუნიციპალიტეტში

● ოლადაური-მაწყვალთაკარაპეტის დამაკავშირებელი სასოფლო გზის 300-მეტრიან პრობლემურ მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგება დასრულდა. სამუშაოს აჭარის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი აწარმოებდა ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით.


ჩხოროწყუ

# რით დამთავრდება მსოფლიოს ახალი პოლიტიკური გადანაწილება – ომით თუ მშვიდობით?!

მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში დღეს ტერორისტული აქტის მოწყობა რომ შესაძლებელი და იოლია, გასულ კვირას კიდევ ერთხელ დადასტურდა. ირანში განხორციელებულმა ტერაქტმა, რომელსაც 17 ადამიანი ემსხვერპლა და 40-ზე მეტი დაშავდა, მსოფლიოს ქვეყნების პოლიტიკოსების დიდ ნაწილში შიში და გაოცება გამოიწვია. გასაოცარი გახლავთ ის გარემოება, რომ ირანი ტერორიზმისგან მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დაცულ ქვეყნად არის აღიარებული. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყანაში ტერაქტი 1970 წლის შემდეგ არ მომხდარა.

ირანში მომხდარ ტერაქტს წინ უძღვოდა არაბული ქვეყნების, შეიძლება ითქვას, მოულოდნელი პოლიტიკური სვლა. ათმა ქვეყანამ ყოველგვარი დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობა გაწყვიტა ყატართან, ელჩები გაიწვია და დიპლომატიური მისიები, ფაქტობრივად, დახურა. თავდაპირველად მეზობელი ქვეყნების ამ მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ ყატარის მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია, ხალხმა პროდუქტების და სასმელი წყლის მომარაგება დაიწყო, მაღაზიებიც დაცარიელდა. თუმცა მოსახლეობა მალევე დამშვიდდა.

პოლიტოლოგები და ექსპერტები ყატარის იზოლაციას და ირანში მომხდარ ტერაქტს ერთმანეთს უკავშირებენ. აქვე იხსენებენ, რომ საუდის არაბეთის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის განცხადებას, ირანი უნდა დაისაჯოსო, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინათ გააკეთა. თუმცა ყატარის ემირმა საპირისპირო თქვა: ირანთან საუბარიც და თანამშრომლობაც შეიძლებაო. მიმომხილველების განცხადებით, საუდის არაბეთს „ყელში ეჩხირება“ ყატარში არსებული ტელეკომპანია „ალ-ჯაზირა“, რომელიც თავისი კრიტიკული სიუჟეტებით გამოირჩევა.

ყატართან დიპლომატიური კავშირის გაწყვეტის ოფიციალურ მიზეზად ქვეყნის ბიზნესმენების მიერ ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსება დასახელდა. ეს გარემოება არც აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა უარყო და განაცხადა, საჭიროა შეწყვიტონ მსგავსი ქმედებებიო. თუმცა მიმომხილველებმა გაიხსენეს ჰაკერების მიერ გავრცელებული ჰილარი კლინტონის მასალები, სადაც იგი საუდის არაბეთს ტერორისტებთან კავშირში პირდაპირ ადანაშაულებდა.

საინტერესოა და უცნაური დონალდ ტრამპის პოზიცია ყატარის იზოლაციასთან დაკავშირებით. იგი, ერთის მხრივ, შეშფოთებას გამოთქვამს ამის თაობაზე, მეორეს მხრივ, მიესალმება. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს ყატარში ერთ-ერთი უმსხვილესი სამხედრო ბაზა აქვს განთავსებული, სადაც 10 ათასზე მეტი სამხედრო მსახურობს. ქვეყნის იზოლაციის გაგრძელების შემთხვევაში, აღნიშნული ბაზის არსებობას, ადვილი შესაძლებელია, პრობლემები შეექმნას. იმასაც ამბობენ, რომ ტრამპს ნატოს მსგავსი ორგანიზაციის შექმნა სურს არაბეთის ნახევარკუნძულზე. ამასობაში კი თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ იგი მზად არის, ყატარში გაგზავნოს თავისი ქვეყნის სამხედრო კონტინგენტი. მართალია, თურქეთსა და ყატარს საერთო სახმელეთო-საზღვაო საზღვრები არ გააჩნიათ, მაგრამ როგორც ამბობენ, ურთიერთკავშირს საჰაერო გზით დაამყარებენ.

პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები თუ ექსპერტები ერთხმად თანხმდებიან, რომ სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში, არა მარტო სპარსეთის ყურეში, არამედ მთელს რეგიონში უმძიმესი კატასტროფული ვითარება შეიქმნება, რომელიც მონაგონი იქნება ერაყის თუ სირიის კონფლიქტებთან.

ამასობაში კი თურქეთი ყატარს ჰპირდება ეკონომიკურ და ყოველგვარ დახმარებას, ირანი კი, რომლის ხელისუფლებამ, მათდა სასახელოდ, შეძლო ტერაქტის თუ არეულობის მოკლე ვადაში აღმოფხვრა, აგრძელებს ყატართან თანამშრომლობას. თუმცა ქვეყნის იზოლაციამ გამოიღო უარყოფითი შედეგები. მსოფლიო ნავთობის ბირჟებზე უკვე ფასების რყევებია. ამასთან, ყატარი ნავთობისა და გაზის ერთ-ერთი უმსხვილესი მომპოვებელია და ქვეყანას შეუძლია, არ დაემორჩილოს ოპკ-ს გადაწყვეტილებას და შემცირების ნაცვლად, გაზარდოს ნავთობის მოპოვება. ამით სრულ ქაოსს გამოიწვევს მსოფლიო ბირჟებზე. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ქვეყნების დიდი ნაწილი, რომლებმაც გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა ყატართან, ბუნებრივ აირს სწორედ ამ ქვეყნიდან იღებენ.

ყატარისთვის დაწესებულმა სანქციებმა ევროპის ქვეყნები, განსაკუთრებით გერმანია, შეაშფოთა. მხოლოდ ამ ქვეყანაში ყატარი სამი უდიდესი კორპორაციის: „სიმენსის“, „ფოლკსვაგენის“ და „დოიჩე ბანკის“ ძირითადი ინვესტორია. სწორედ ამის გამო ჩავიდა იზოლაციის გამოცხადების შემდეგ ყატარის საგარეო საქმეთა მინისტრი გერმანიაში. ვიზიტის შედეგები, თავისთავად, უცნობია, მაგრამ ყატარმა მიიღო გერმანიის მთავრობის მხარდაჭერის პირობა. გერმანიის შემდეგ რუსეთს ეწვია ყატარის საგარეო საქმეთა მინისტრი. მართალია, რუსმა კოლეგამ პირდაპირ უთხრა, რომ უცხო ქვეყნის შინაურ საქმეებში ისინი არ ერევიან, მაგრამ ექსპერტების ვარაუდით, ყატარს სურს რუსული იარაღის შეძენა, რომელსაც საუდის არაბეთის მიერ აშშ-იდან შეძენილი იარაღის საპირწონედ გამოიყენებს. მართლაც არც ერთი ქვეყანა უარს არ იტყვის, ასეთ მდიდარ ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობებზე, მით უფრო, ისეთ მომგებიან სფეროში, როგორიც იარაღით ვაჭრობაა.

მართალია, საუდის არაბეთი ცდილობს, შექმნას კოალიცია, სავარაუდოდ, საამისოდ გააფორმა მრავალმილიარდიანი კონტრაქტი იარაღის შესაძენად, ამხედრებულია ირანთან მოკავშირე ქვეყნების წინააღმდეგ, მაგრამ ექსპერტები იმედოვნებენ, რომ ომამდე საქმე არ მივა.

ახლო აღმოსავლეთში არსებული ვითარების გარდა მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრში აშშ-სა და ევროპაში განვითარებული მოვლენები გახლდათ. აშშ-ის კონგრესის წინაშე განვლილ პარასკევს უნდა წარმსდგარიყო და კითხვებზე ეპასუხა გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილ დირექტორს ჯეიმს კომის, რაც პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. ამერიკული პრესა კომის კონგრესის კომისიაში გამოსვლას წინასწარ სენსაციად აანონსებდა. მართლაც, ამერიკელთა დიდი ინტერესი გამოიწვია კომის გამოსვლამ, თითქმის მთელი ამერიკა ტელევიზორს იყო მიჩერებული. თუმცა სენსაცია არ შედგა, რადგან კომის გამოსვლით არ დადასტურდა დონალდ ტრამპის რაიმე ბრალეულობა, რაც გახდებოდა მისი იმპიჩმენტის მიზეზი. ტრამპმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა თავის მოწინააღმდეგეებზე და იმპიჩმენტის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. ის კი არა, ტრამპის რეიტინგი კიდევ უფრო გამყარდა.

უპირობო გამარჯვება სურდა 8 ივნისს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ტერეზა მეის. მართალია, კონსერვატორებმა 318 ადგილი მოიპოვეს, მაგრამ პოლიტოლოგები შედეგს წარუმატებლად მიიჩნევენ. საპარლამენტო უმრავლესობის მოსაპოვებლად, რაც მთავრობის ერთპიროვნულად დაკომპლექტების საშუალებას მისცემდა, საჭირო იყო 326 მანდატი. ლეიბორისტებმა, რომლებსაც უიმედოებს უწოდებენ, გააუმჯობესეს წინა არჩევნების შედეგები და 262 ადგილი მოიპოვეს.

ამასობაში ძალებს იკრებს ე. წ. შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, სადაც მთავარი მოთამაშეები ჩინეთი, რუსეთი და ყაზახეთი არიან. გასულ კვირას ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში გამართულ შეკრებაზე ორგანიზაციას ორი ახალი ქვეყანა — ინდოეთი და პაკისტანი შეუერთდა. ეს ქვეყნები ერთმანეთთან ლამის საომარ მდგომარეობაში არიან და როგორ მოხდება მათი ურთიერთთანამშრომლობა, საინტერესოა. ისიც აღსანიშნავია, რომ ექსპერტებმა შანჰაის ორგანიზაციას ახალი „დიდი რვიანი“ შეარქვეს. გასაკვირი, ალბათ, არც უნდა იყოს, რადგან ჩინეთი და ინდოეთი მოსახლეობის (და არა მარტო ამ კუთხით) რაოდენობით პირველები არიან.

როგორც ვხედავთ, მსოფლიოში ახალი პოლიტიკური გადანაწილება მიმდინარეობს. რითი დამთავრდება ეს პროცესი — ომით თუ მშვიდობით, ჯერ კიდევ გაურკვეველია.







**გია ბურდული**
551 71 27 07

# ავთანდილ მეგრელიშვილი - ლექსები

## არ დაბეჩავდე

არ დაბეჩავდე, ჩემო ერო, არ დაბეჩავდე,
ცხვარს აძოვებდე, ვაზებს სხლავდე თუ მატყლს ჩეჩავდე!!!
არ გაიტეხო გული, უფრო გაიფოლადე,
ცეცხლივით ენთე, სულ იალე და არ ბოლავდე!!!
გულგატეხილმა არ იარო, არ იბანცალო,
მტერი იცანი, ჩაგრა შენი აღარ აცალო!!!
მტერს მტრულად დახვდი, მიწა წყლისგან რომ არ გაგცალოს,
ბოროტს და მჩაგვრელს თავი შენი არ ანაცვალო!!!
იფხიზლე, როგორც წინაპრები ფხიზლობდნენ ისე.
იმედითა და შემართებით გული აივსე!
შექმენ ოჯახი, ზარდე შვილნი – მშრომელნი, ზრდილნი,
გაიზიარონ ერთმანეთის ჭირნი და ლხინნი!!!
ჭირის და ლხინის გაძლებაა გმირობა დიდი,
იფრთხილე, რომ არ ჩაიტეხო მოყვრებთან ხიდი!!!
უმოყვროდ, უმტროდ ვერც გავძლებდით, არც გაგვიძლია
და ამიტომაც უამრავი მტერი იძლია!
არ დაბეჩავდე, ჩემო ერო, არ დაბეჩავდე,
ცხვარს აძოვებდე, ვაზებს სხლავდე თუ მატყლს ჩეჩავდე!!!

## მიკვირს რომ ვარ ცოცხალი

აფხაზეთი წამართვეს,
სამაჩაბლო წამგლიჯეს...
რუსი კვლავ დგამს მამულში
ჩექმებიან ნაბიჯებს!!!
რით ვუშველო ამ მიწებს,
მათთვის მომკვდარ იმ ბიჭებს?!.
ღმერთი როგორ ვახსენო,
მეც მრცხვენია მოძღვარის...

აფხაზეთი აღარ მაქვს,
სამაჩაბლო აღარ მყავს,
გენოფონდი აღარ მყავს, –
მიკვირს, რომ ვარ ცოცხალი!!
აღარავინ არ გვინდობს,
ვართ ისეთი ლაჩრები...
თუ ასე გავაგრძელებთ, –
უმამულოდ დავრჩებით!!!

## ბელურას

სუსტი ხარ, მაგრამ
მკაცრ ზამთრებს უძლებ...
ვერ განხავს ვერვინ
ხარბსა და უძლებს!!!

ყველა ხეს და ბუჩქს
ეალერსები
ჭიკჭიკი არის
შენი ლექსები!

ჩემსავით მამულს
არც შენ დატოვებ,
შენც არ გადარდებს
აქ სიმარტოვე!

ჭიკჭიკი არის
სიმღერა შენი.
თან რარიგ გშვენის
თან როგორ გშვენის!

ორი მარცვალი
ხორბალი გყოფნის.
კმაყოფილი ხარ
ჩიტო, ამ ყოფით!

ყველა ხე, ბუჩქი
სახლია შენი,
ყველა მამულის
ხართ დამამშვენნი!!!

ძალიან გიყვარს
მშობელი მხარე.
აქედან წასვლით
მტრებს არ ახარებ!!!

შიმშილ-სიცივით
სიკვდილს არ დარდობ...
რა ეროვნული ხარ –
სიცოცხლეს განდობ!

მისთვის სიკვდილსაც
არ დაახანებ!
პატრიოტი ხარ
სამაგალითო.

შე, გულიანო
გიყვარვართ,
გმადლობ!

გამძლეობაში
ჯობიხარ ლითონს!..
უსამშობლობას
შიშშილი გიჯობს.

უსამშობლობას
შიშშილი გიჯობს.
უმამულობას –
სიცივე გიჯობს.

უსამშობლობას
სიცივე გიჯობს.
პატარა ჩიტო
მამულის გიჟო!!!

უქართველობას –
სიკვდილი გიჯობს!
პატარა ჩიტო –
მამულის გიჟო!!!

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**– რა მიეკუთვნება პირად არაქონებრივ უფლებებს?**

– თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 18. პირადი არაქონებრივი უფლებები

1. ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე.

2. პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან.

3. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

4. პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.

5. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

* * *

**– ითვალისწინებს თუ არა საჯარო სამსახურის კანონმდებლობა სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელის კომპენსაციას?**

– დიახ, ასეთს ითვალისწინებს საჯარო სამსახურის კანონმდებლობა.

კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით,

დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან

გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა 2 თვის თანამდებობრივი სარგო.

ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ხანგრძლივი შრომისუუნარობის, სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში გაწვევის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში მოხელეს ეძლევა კომპენსაცია 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

* * *

**– ჩემი შვილი გაშორდა მეუღლეს. მათ მხოლოდ ჯვარი ჰქონდათ დაწერილი. სამოქალაქო ქორწინებაში არ ყოფილან. ერთად იცხოვრეს 7 წელი და ჰყავთ ორი შვილი. მოხდება თუ არა ქონების გაყოფა?**

– არ მოხდება, რადგან ჯვრისწერა არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება.

# ჭრელი გვერდი

## ქაღალდის ბანკნოტების ისტორია

ბანკნოტების სიცოცხლის ხანგრძლივობა სხვადასხვაგვარია. მაგალითად, 50-100-დოლარიანი კუპიურები 9 წელს „ცოცხლობს“, რადგან ყოველდღიურ ბრუნვაში მათ საკმაოდ იშვიათად მოიხმარენ. ამერიკელები 100 დოლარამდე ღირებულების საქონლის შეძენისას საკრედიტო ბარათებს იყენებენ.

ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა რამდენიმე წლის წინათ შეისწავლეს ევროპის ქვეყნების ბანკნოტები მათზე




მიკრობების არსებობის კუთხით. აღმოჩნდა, რომ საშუალოსტატისტიკური ევროპულ კუპიურაზე 26 ათასზე მეტი ბაქტერია „ბინადრობს“. რეკორდსმენი გახდა დანიური კრონა, რომელზეც 40 ათასზე მეტი ბაქტერია „ცხოვრობს“, რესპექტაბელურმა შვეიცარიულმა ფრანკმა თავშესაფარი 32 ათას ბაქტერიას მისცა. ყველაზე მეტი ბაქტერია ჩინურ ბანკნოტზე – 100-იუანიანზე ბინადრობს – დაახლოებით 180 000. მიკრობიოლოგები კუპიურებზე პოულობენ ნაწლავის ჩხირებს, ობს, სტფილოკოკებს, ტუბერკულოზის, ტიფის, ვენერიული დაავადებების გამომწვევ მიკრობებს და ა. შ. მართალია, ამით დაავადება შეუძლებელია, მაგრამ მეცნიერები რეკომენდეციებს იძლევიან, ხშირად დავიბანოთ ხელები. თუმცა, ჟენევის უნივერსიტეტის მეცნიერებმა აღმოჩინეს, რომ გრიპის ვირუსი ოთახის ტემპერატურაზე 14 დღის განმავლობაში ინარჩუნებს დასნებოვნების უნარს.

სტერილური აღმოჩნდა საერთო ევროპული ფულის ბანკნოტები. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ევრო სპეციალური ხსნარით მუშავდება, რაც მიკრობების გავრცელებას უშლის ხელს.

ამერიკელი მეცნიერების გამოკვლევების თანახმად, აშშ-ში ბრუნვაში მყოფ დოლარების 90%-ზე კოკაინის კვალია. ეს ნივთიერება კუპიურებზე ან ნარკოგარიგებების, ან კუპიურის საშუალებით ნარკოტიკის მოხმარების დროს ხდება. ყველაზე მეტი ნარკოტიკი 50 და 100-დოლარიან ბანკნოტებზეა.

ამერიკული დოლარები ყველაზე მეტ ნარკოტიკულ ნივთიერებებს შეიცავს, ხოლო ყველაზე „უბიწო“ იაპონური იენაა – „ამომავალი ქვეყნის“ კუპიურების მხოლოდ 12 პროცენტზე აღინიშნება ნარკოტიკების კვალი.

1 მლნ აშშ დოლარი 100-კუპიურიანი ბანკნოტებით დაახლოებით 10 კგ-ს იწონის. ამერიკელები თვლიან, რომ, რაც უფრო მეტს იწონის მილიონი, უფრო ნაკლები კორუფციაა ქვეყანაში, სწორედ ამიტომ 100-დოლარიანი კუპიურა აშშ-ში ყველაზე მაღალი ნომინალური ბანკნოტია.

სხვადასხვა ქვეყანაში ფულის განადგურების სხვადასხვა ხერხი არსებობს: ზოგ ქვეყანაში მათ წვრილ ზოლებად ჭრიან და შემდეგ მათგან სამშენებლო მასალებს, სასუქს, ნაგვის ურნებს, ტუალეტის ქაღალდს და... საფლავზე დასადგმელ ძეგლებსაც კი ამზადებენ...



## კობრას ეფექტი

როგორც ცნობილია, ინდოეთი დიდი ხნის განმავლობაში ბრიტანეთის კოლონია გახლდათ. XIX საუკუნეში ქვეყნის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით კობრა გავრცელდა და ინგლისელებმა მათი რაოდენობის შემცირება გადაწყვიტეს, რადგან ისინი საცხოვრებელ სახლებშიც კი შედიოდნენ (სწორედ ამ პერიოდში დაწერა რედიარდ კიპლინგმა „რიკი-ტიკი-ტავი“ და „ჯუნგლების წიგნი“). ბრიტანელი ზედამხედველები თითოეული მოკლული კობრისთვის გასამრჯელოს იძლეოდნენ და ინდუსებმა კობრების მასიური განადგურება დაიწყეს. მალე ისინი თითქმის განადგურდა და თადარიგიანმა ინდუსებმა სახლში დაიწყეს მათი მომრავლება და ფულის მიღების მიზნით გამოყენება. ხელისუფლებამ, გაიგო რა ადგილობრივი მოსახლეობის აფერის შესახებ, გასამრჯელოს გაცემაზე უარი განაცხადა. მაშინ ადგილობრივებმა კობრები ქუჩაში გაუშვეს და მათი რაოდენობა უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე აქციის დაწყებისას. მას შემდეგ გამოთქმა „კობრის ეფექტი“ გამოიყენება იმ ზომების აღსანიშნავად, რომელთა შედეგადაც სიტუაცია გამოკეთების ნაცვლად გაუარესდა.

## „ამერიკის ხმა“ აკრძალვა ამერიკაში

რადიოსადგური „ამერიკის ხმა“ 1942 წელს შეიქმნა ნაცისტური პროპაგანდის საწინააღმდეგოდ. ომის დასასრულისთვის ის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მაუწყებლობდა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ რადიოსადგური აშშ-სსრ კავშირის ურთიერთდაპირისპირების იარაღად იქცა. იმის შიშით, რომ რიგითი ამერიკელები დეზინფორმაციის სამიზნედ შეიძლებოდა ქცეულიყვნენ, 1948 წელს ამერიკის კონგრესმა მიიღო სმიტი-მუნდტის კანონი. რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტს უკრძალავდა, „ამერიკის ხმას“, „რადიო თავისუფლებას“ და მასმედიის ნებისმიერ საშუალებას, პირდაპირ განეხორციელებინა მაუწყებლობა ამერიკის მოსახლეობისთვის. ეს კანონი მხოლოდ 2013 წელს გაუქმდა.

## ჩხუბისთავი პითაგორა

ზოგიერთ სახელგანთქმულ მეცნიერს ერთი შეხედვით მათთვის შეუფერებელი გატაცებები ჰქონდათ. მაგალითად, ნილს ბორი ქვეყნის ფეხბურთის ნაციონალური ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდა, პითაგორა კი მუშტით ბრძოლის პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახლდათ! მენდელეევი ჩემოდნებს ამზადებდა, თანაც ისეთ ხარისხიანს, რომ მათ მსურველებს ბოლო არ უჩანდა... ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატს ლევ ლანდაუს კი ძალზე უყვარდა პასეანსების გაშლა. იგი ამბობდა: „ეს თქვენ ფიზიკა არ გაგონოთ. აქ ფიქრია საჭირო“...




## საინტერესო ფაქტები „ქინდერ სიურპრიზის“ შესახებ

„ქინდერ სიურპრიზი“ შოკოლადის კვერცხის ფორმის საკონდიტრო ნაწარმია, რომელშიც პატარა სათამაშო დევს და ბავშვებისთვის არის განკუთვნილი.

შოკოლადის კვერცხის სიურპრიზები პატარებს 1972 წლიდან ახარებს. ის შვეიცარიელმა დიზაინერმა ჰენრი როტმა გამოიგონა – სწორედ მას მოუვიდა იდეა ქინდერ სიურპრიზში სათამაშოს ჩადების შესახებ.

ცხელი ქვეყნებისთვის ქინდერ სიურპრიზს ფირმა „Ferrero“ უფრო მყარი შოკოლადისგან ამზადებს და მას „ქინდერ ჯოი“ ჰქვია.

2007 წელს Bay-ს აუქციონზე ქინდერ სიურპრიზის სათამაშოების კოლექცია, რომელიც 90 000 ერთეულისგან შედგებოდა, 30 000 ევროდ გაიყიდა.

ქინდერ სიურპრიზის გარდა კომპანია „Ferrero“ აწარმოებს კანფეტებს, დრაჟეს, ნამცხვრებს, პასტას, შოკოლადს, ბატონჩიკებს, როგორიცაა: Ferrero, Raffaello, Fiesta, Nutella, Duplo და სხვ.

ქინდერ სიურპრიზის გაყიდვა აკრძალულია აშშ-ში, სადაც, 1938 წელს მიღებული ფედერალური კანონის თანახმად, კვებისთვის გამოუსადეგარი ნივთების საკვებ პროდუქტში მოთავსება აკრძალულია.

არსებობის 30 წლის მანძილზე მსოფლიოში 30 მილიარდი შოკოლადის კვერცხია გაყიდული.

## პატარების აღზრდა ტელეპათიის საშუალებით

მელია პატარებს სოროში ტოვებს და საკვების მოსაძებნად რამდენიმე კილომეტრის მოშორებითაც კი უწევს წასვლა. პატარები გარეთ გამოდიან, თამაშობენ, ხშირად „სახლიდან“ მოშორებით დაუშვებელ მანძილზეც კი მიდიან.

ამის მერე რაღაც უცნაურობა ხდება. დედა-მელა რაღაცნაირად ხვდება, რომ მისი პატარები „ცუდად იქცევიან“. იგი ჩერდება და საკუთარი სოროსკენ იწყებს ყურებას. რამდენიმე წუთში მელაკუდები მშვიდდებიან, სოროში ძვრებიან, დედა-მელია კი მშვიდად აგრძელებს გზას.

დღემდე ვერავინ ამოიცნო, როგორ ახერხებს თავისი შვილების დამშვიდებას ასეთ შორ მანძილზე დედა-მელია.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22


## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63



საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com